

# სტალინის ტერორის [1936-1938] მცხოვრიში რეალისტურიზაციი ორგანიზაციის წარმომადგენლობის კატასტროფი ტემა

SURVIVORS' NARRATIVES ON STALIN'S GREAT TERROR (1936-1938):  
CULTURAL TRAUMA

ივეტა გოგავა

დოქტორანტი, კულტურის კვლევების სადოქტორო პროცენტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუბლიცისტულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Iveta Gogava

PhD Candidate, PhD Program in Cultural Studies,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities

## Summary

Almost three decades after the Soviet collapse and seven decades after the death of Stalin, the legacy of the ruthless Soviet dictator, including his role in the Great Terror remains the subject of constant contestation in Georgia. Georgian religious and political leaders cannot avoid discussing Stalin's cult of personality. The Patriarch of the Georgian Orthodox Church Ilia the Second, Georgia's most trusted person lately, referred to Stalin in 2013: „He was originally from Georgia, and he knew the Georgian language, Georgian songs, and church songs very well. When he died, I was a student of a seminary. We were all standing in the conference hall and crying. Stalin was an exceptional person.“<sup>2</sup> Stalin's perceived „Georgianness“ gives his image a positive boost among some segments of Georgian society and represents one of the reasons why his role in the Great Terror is diminished.

The number of scholarly works in the Soviet period and particularly in Stalin's Great Terror in Georgia increased during the last decades. Several works have already examined the nature of terror, including, scholarly articles, prisoners' portraits, documentary films, biographical works about the victims of great terror, etc. Researchers affiliated with various think tanks and academic institutions used diverse methods for studying the topic. Archival and rather descriptive work moved forward. However, the research about Stalin's Great Terror in Georgia significantly lacks analysis and interpretation, especially from the perspective of cultural trauma. Moreover, ambivalent perceptions towards Stalin's personality in Georgian society cannot be automatically related to the Soviet patriotism, but more connected to the self-perception of the nation, whose son from the peasants'

1 შენიშვნა: აღნიშნული დროითი პერიოდი აღებულია სწორედ იმიტომ, რომ წარმოადგენს რეპრესიების ყველაზე მძიმე ფაზას.

2 Ilia the Second, „When Stalin Died, We Were All Crying in the Seminary,“ Tabula, July 13, 2013, <http://www.tabula.ge/ge/verbatim/73391-ilia-meore-stalinis-gardacvalebasis-sasuliero-seminariashi-vtirodit> (28.12.2020).

family and colonized nation fought against existing order, broke the traditions by rising to the top of a system itself (Waal 2013, 9).

This research represents one of the first attempts of studying Stalin's Great Terror (1937-38) in Georgia in the survivors' narratives from the perspective of cultural trauma and formation of the memory of the long and difficult process of survival. Detecting the key factors of remembering past events and carving out the characteristics of cultural trauma contributes to understanding the broader context of the Great Terror. Hence, the research aims at answering the following questions: To what extent has Stalin's Terror generated a cultural trauma? What factors contributed to remembering those events as trauma? How did the survivors portray Stalin and his role in the Great Terror? The expectation is that the survivors' narratives can be considered traumatic since they illustrate a particular event, its impact on the society, and the images of victims and perpetrators in a broader context. Moreover, the narratives could illustrate various images of Stalin, but they might avoid explicit condemnation of him in their stories.

This study applies a critical discourse analysis and process tracing strategies. It explores and compares the survivors' narratives taking the following criteria into account: 1. The biographies of the victims of Stalin's Great Terror and his/her place in the society 2. The imprisonment of the repressed family members and his/her attempts to establish contact with their families 3. The public perception of prisoners and their families. Since this research examines formation of the memory about discrete historical event, the process tracing approach contributes to analyzing trajectories of change and to describing the observations of phenomena at each step in this trajectory.

Primary sources of the research are oral history interviews of the survivors (interviewees will include the people whose parents were the victims of Stalin's Great Terror). Those oral history interviews were recorded, transcribed and published after the Soviet collapse by Soviet Past Research Laboratory in Georgia and Heinrich Boell Foundation/The South Caucasus Regional Office. Within the project, the researchers further explored family archives (photos, biographies, or other related documents) and gathered individual stories of the family members about the era. Therefore, this research reviews the narratives considering the status (intelligentsia), generation (the children of the victims of the terror) and nature of the pain (both of the parents were repressed during the Great Terror, specifically, the father was executed, while mothers were sent to exile).

To understand the peculiarities of Stalin's Great Terror in Georgia, this study employs the revisionist approach, which emphasizes the social aspect of the terror, represented in the survivors' narratives. The emphasis on the survivors' experience as a cultural trauma necessitates the detection of the involvement of institutions and of the ordinary people in the Great Terror.

The research is divided into four parts: First part of the research discusses the methodology as well as theoretical framework of the study. Second part of the study presents historical context in the Soviet Union and Georgia, third part introduces the results of the oral history interviews and the conclusive part summarizes the main findings of the research.

## შესავალი

„ჯერ კიდევ სკოლაში არ დავდიოდი, როდესაც მითხრებ, ახალი მთვარე რომ გამოვა, უნდა თხოვო, რომ დედა დაგიბრუნდეს და აუცილებლად შეგისრულდებაო... როდესაც დიდ მთვარეს დავინახავდი, ვიძახდი „ახალო მთვარევ, შენ გამახარე, ჩემი დედ-მამა მანახე“ – იგონებს სიუზანა ჭავჭანიძე, რეპრესირებული ოჯახის ქალიშვილი (ბექიშვილი 2009, 305). სტალინური ტერორის მეხსიერება რთული გამოცდილებაა თითოეული მათგანისთვის, რადგან შვილებმა გაიარეს გზა მშობლების დაპატიმრებიდან მათი სახელის რეაბილიტაციამდე, გამოცადეს დისკრიმინაცია, დუმილი, დამცირება და მშობლების შესახებ არსებული დოკუმენტების განადგურების მთელი სიმძიმე.

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს განიხილოს სტალინური ტერორის შესახებ მეხსიერების ფორმირება სოციალური ნარატივის ისეთ სახეობაში, როგორიცაა რეპრესირებულთა შვილების ზეპირი ისტორიები. მოცემული მონაცემების მიხედვით დაადგინოს, რამდენად შეიძლება მიენიჭოს რეპრესიებს კულტურული/კოლექტიური ტრავმის კვალიფიკაცია და გამოკვეთოს კულტურული ტრავმის ძირითადი მახასიათებლები ქართულ საზოგადოებაში.

გამომდინარე იქედან, რომ კვლევის მთავარ ფოკუსს საბჭოთა რეპრესიების დროინდელი და თანამედროვე აღქმების შესწავლა, მიწოდებული ისტორიის გავლენა რეპრესირებული ოჯახის ცნობიერებაზე და თანამედროვეობაში გადმოტანილი ტრავმის თავისებურებები წარმოადგენს, ნაშრომის საკვლევი კითხვები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: როგორ დაამახსოვრდათ რეპრესირებულთა შვილებს 1936-38 წლების სტალინური რეპრესიები საქართველოში? რა ფაქტორებმა განაპირობა მეხსიერების ამგვარად ჩამოყალიბება? რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ სტალინური რეპრესიები კოლექტიურ ტრავმად? როგორია კულტურული ტრავმის მახასიათებლები ქართულ საზოგადოებაში?

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე საკვლევ აბიექტს ნარატივები<sup>3</sup> წარმოადგენს. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ნარატივის ფორმა და შინაარსი პოლიტიკური გარემოებებისა და იდეოლოგიების მიხედვით იცვლება, ამიტომაც ისტორიული პერიოდების შესწავლა და ისტორიული მოვლენების განსხვავებული ვერსიების განხილვა პროცესის უკეთ აღქმის საშუალებას წარმოადგენს.

ნარატივის ანალიზისას მკვლევრები ორ ძირითად დონეს გამოყოფენ: სახელმწიფო ანუ ოფიციალური და სოციალური ანუ ზეპირი ისტორია. ოფიციალური ნარატივის განხილვისას მნიშვნელობა ენიჭება არამხოლოდ ოფიციალური პირების, პოლიტიკოსების საუბრის ჩანაწერებსა თუ ოფიციალურ განცხადებებს, არამედ სახელმწიფოს მიერ შექმნილ ნარატივს (სასკოლო სახელმძღვანელოები, წერილობითი და ზეპირი წყაროები). ამ შემთხვევაში ნარატივის დანიშნულებას ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს. ანალიზის სოციალური დონე აქცენტს აკეთებს თავად ფაქტის აღქმაზე საზოგადოების მხრიდან, წარმოაჩენს პრობლემის/საკითხის სოციალურ ბუნებას, მასშტაბსა და

3 ნარატივი არის კონსტრუქციული ფორმატი (საუბარი, ნაწერი, სიმღერა, ფილმი, სატელევიზიო ჩანაწერი, ვიდეო თამაშები, ფოტოგრაფია ან თეატრი), რომელიც ასახავს მოვლენების თანმიმდევრობას. Narrate v. In Oxford English Dictionary. Oxford University Press. <https://www.oed.com.ezproxy.lib.gla.ac.uk/view/Entry/125144?redirectedFrom=Narrate+&> (28.12.2020)

გავლენას როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე (მემუარები, დღიურები, ზეპირი ისტორიები).

ნაშრომის მეთოდოლოგია მეხსიერების კვლევის თეორიულ ჩარჩოშია მოქცეული, რადგან კონკრეტული საკითხის შესწავლა მიზნად სწორედ რომ მეხსიერების ფორმირების ანალიზს ისახავს. აქედან გამომდინარე ნაშრომის კვლევით სტრატეგიას მონაცემების შეგროვებისა და გაანალიზებისთვის დისკურსის ანალიზი წარმოადგენს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს საკითხის ირგვლივ არსებული ოფიციალური, სოციალური და სამეცნიერო ნარატივის კვლევას.

სამეცნიერო ლიტერატურის კვლევა მიზნად ისახავს 1936-38 წლების სტალინური რეპრესიების შესახებ ისტორიული და პოლიტიკური რაკურსის შეთავაზებას. ლიტერატურის კვლევა მოიცავს სტალინური რეპრესიების შესწავლის თეორიულ მიდგომებს (ტოტალიტარიანული, რევიზიონისტული), რეპრესიების ქართული ქვეთავის ჩასმას საბჭოთა რეპრესიების კონტექსტში. ის ცდილობს, წარმოაჩინოს, როგორი იყო რეპრესიების ბუნება, რას ისახავდა მიზნად და რა სტრატეგიებით ამართლებდა სახელმწიფო რეპრესიებს. ლიტერატურის კვლევაში განხილული იქნება როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები, მკვლევრების მიერ გამოყენებული თანამედროვე მიდგომები და მეთოდები.

გამომდინარე იქნებან, რომ პერესტროიკის პერიოდამდე თითქმის შეუძლებელი იყო არათუ მემუარების ან ისტორიების გამოქვეყნება, არამედ წარსულის გამოცდილების შესახებ ხმამაღლა საუბარიც კი, ამიტომაც საკუთარ გამოცდილებაზე საუბარი რეპრესირებულთა ოჯახის შვილებისთვის ტრავმის დაძლევის ერთგვარ სახუალებას წარმოადგენდა. რეპრესირებულთა ზეპირი ისტორიები, რომელთა გამოქვეყნება ძირითადად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხერხდა, წარსულის ალტერნატიულ ხედვას გვთავაზობს. ისინი გადმოსცემენ ინფორმაციას არამხოლოდ რეპრესიების თითოეული ეტაპის შესახებ, არამედ თავად რეპრესირებულთა ოჯახის წევრების (კერძოდ, შვილების) დამოკიდებულებებზე, მათ ხედვაზე სისტემის მიმართ, რეპრესიების ლოგიკასა თუ სახელმწიფო სტრატეგიებზე.

ზეპირი ისტორიების შეგროვებისას გათვალისწინებულ იქნა შემდეგი კრიტერიუმები: თავად რეპრესირებულის ბიოგრაფია და მისი ადგილი საზოგადოებაში, მდგომარეობა დაკავებამდე და რეპრესირებულის მოლოდინები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მდგომარეობა დაკავების შემდეგ, შრომა-გასწორების კოლონიაში მსახურების პირობები, შედგენილი საბუთები, მათი შინაარსი, პატიმრებისა და მათი ოჯახების წარმოდგენა მათი დაკავებისა თუ გადასახლების შესახებ და საზოგადოების დამოკიდებულებები დაკავებულთა მიმართ.

რეპრესირებულთა ოჯახების (ოჯახები, რომელთა დედ-მამა სტალინური რეპრესიების მსხვერპლია) ზეპირი ისტორიების ანალიზისას ყურადღება გამახვილდება წარსულის ოჯახისეულ აღქმაზე, მათ წარმოდგენაზე საბჭოთა წარსულის და უშუალოდ რეპრესიების მიმართ. ინტერვიუების პარალელურად განიხილება მათი ოჯახის პირადი არქივი, დღიურები და ჩანაწერები არსებობის შემთხვევაში.

## პრობლემის კვლევის ისტორიოგრაფიული განხილვა

საბჭოთა პერიოდის და განსაკუთრებით სტალინური რეპრესიების შესწავლა დასავლურ საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფო უშიშროების კომი-

ტეტის (KGB) არქივების გასაჯაროების შემდეგ გახდა შესაძლებელი. არქივების გასაჯაროებამ ხელი შეუწყო ტრადიციული სოვეტოლოგიდან (ტოტალიტარიანული მოდელის თეორია)<sup>4</sup> რევიზიონისტურ პარადიგმაზე გადასვლას. ტოტალიტარიანული მოდელის მიხედვით, კომუნისტური პარტია სრულად განაგებდა პოლიტიკური დღის წესრიგს და საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ყველა შესაძლო ინსტიტუტს აკონტროლებდა. მაშინ როცა რევიზიონისტულ სკოლას, რომელსაც წარმოადგენენ არჩიბალდ გეტი, შეიღა ფიცპატრიკი, სტივენ კოტკინი და სხვები, შემოაქვს სოციალური ისტორიის ელემენტი და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საბჭოთა სისტემის მონოლითურ ხასიათს (Fitzpatrick 2007, 77-91). რევიზიონისტებმა მეტი ყურადღება დაუთმეს ადგილობრივი აქტორებისა და დაინტერესებული ჯგუფების გავლენას საბჭოთა პოლიტიკის განხორციელებაზე.

სტალინური რეპრესიების ფართო საბჭოთა ისტორიის ნარატივში კონტექსტუალიზაცია ერთ-ერთ ყველაზე წინააღმდეგობრივ ისტორიოგრაფიულ საკითხს წარმოადგენს საბჭოთა კვლევებში. ტოტალიტარიანული მოდელის მკვლევრები საბჭოთა რეპრესიებს ტოტალიტარიანული სისტემის განუყოფელ ნაწილად განიხილავდნენ და რეპრესიების არქიტექტორებს, სტალინის ჩათვლით, მთავარი გადაწყვეტილებების მიმღებებად და შემსრულებლებად.

ისტორიკოსის, დევიდ ბრანდენბერგერის (Brandenberger 2011, 9) მოსაზრებით, საბჭოთა სისტემა პროპაგანდისტულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მისმა მშენებლობამ შემდეგი საფეხურები მოიცვა: პირველ რიგში, პროპაგანდისა და აგიტაციის დეპარტამენტის ჩამოყალიბება ბოლშევიკური ლირებულებების გავრცელებას და ხალხის მტრების მხილებას ისახავდა მიზნად; მაშინ როცა, საბჭოთა კომუნისტური პარტიის მოკლე ისტორიის სახელმძღვანელო მოიცავდა კომუნისტური პარტიის კონგრესებისა და სხდომების ოქმების სრულ ჩამონათვალს, რათა თითოეული მოქალაქისთვის აეხსნათ ის გადაწყვეტილებები, რომელიც ბოლშევიკური ლირებულებების ფორმირებას ისახავდა მიზნად. შემდეგ ეტაპზე სტალინის ბიოგრაფიების შედგენა და მისი ნაშრომების გასაჯაროება მის ლიდერულ თვისებებს უსვამდა ხაზს. სხვადასხვა მედია საშუალებების ჩამოყალიბება (რადიო, ბეჭდური მედია) კი სტალინის ოფიციალური ხელმძღვანელობის ქვეშ ოფიციალური იდეოლოგიის ჩამოყალიბების მცდელობა გახდათ.

ფრანგი მკვლევრის ჰენრი რუსოს (Roussel 2004, 102) მოსაზრებით, რეპრესიული პოლიტიკა ოთხ ძირითად სტრატეგიას ეყრდნობოდა: დიქტატორის კულტს, რომლის ძირითად დანიშნულებასაც სტალინის, როგორც პიროვნების და სისტემის გაძლიერება წარმოადგენდა; სახელმწიფოს მშენებლობას (პარტიული კადრების მოშორებას), რომელსაც ცენტრალიზებული ტოტალიტარული რეჟიმი იყენებდა; ვირტუალურ კრიმინალიზაციას, რომელიც ხორციელდებოდა სახელმწიფოს მხრიდან, როგორც არასახელმწიფოებრივი აზროვნების ადამიანების დადანაშაულების აქტი; არარუსული ეთნიკური ჯგუფებისკენ მიმართულ კოლექტიური ძალმომრეობას, ე.წ. „დიდ რუსულ შოვინიზმს“ რომელიც წარმოადგენდა რუსული იდეოლოგიური პროექტის ნაწილს დიდი ხნის განმავლობაში.

4 გერმანელი ისტორიკოსის, ჰანა არენდტის მიერ მეოცე საუკუნის დასაწყისში შემოთავაზებული ტოტალიტარული მოდელი ამავე საუკუნის შუა ხანებში განვითარეს კარლ ფრიდრიხმა და ზბიგნევ ბრუეზინსკიმ. აღნიშნული მოდელი საბჭოთა სისტემას შემდეგნაირად ახასიათებდა: ოფიციალური იდეოლოგია, ერთპარტიული მოდელი, მონოპოლიის კონტროლი, მასობრივი კომუნიკაციის კონტროლი და ცენტრალურად დაგეგმილი ეკონომიკა (Friedrich and Brzezinski 1956, 99).

რევიზიონისტული სკოლის მკვლევრებისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ისტორია, არამედ საზოგადოებაში არსებული პირადი ნარატივებიც. მიუხედავად იმისა, რომ 1930-იან წლებში სტალინის გაპიროვნება სოციალისტური რეალიზმის დისკურსს წარმოადგენდა, მისი და საბჭოთა ლიდერების როლის საბჭოთა სისტემისთვის მიწერა გადაჭარბებულად არის მიჩნეული. სტალინისტური დიქტატურის რეპრესიული ხასიათი, თომას რიგბის მიხედვით, განპირობებულია საბჭოთა კავშირში არსებული მრავალრიცხოვანი ბიუროკრატიებით (Rigby 1968, 25). უფრო მეტიც, ძალაუფლებისთვის ბრძოლამ განსხვავებულ სოციალურ სტრატეგიასა და პერსონებს შორის პარტიის კონფლიქტურ ჯაზუფებად დაყოფაც კი გამოიწვია. აღნიშნული არგუმენტით რიგბი ეხმიანება რუსოს მიერ შემოთავაზებულ ოთხ სტრატეგიას, რომელიც გულისხმობდა არა მხოლოდ პიროვნების კულტის დამკვიდრებას საზოგადოებაში, არამედ ვირტუალურ კრიმინალიზაციას კომუნისტური პარტიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

შილა ფიცპატრიკის (Fitzpatrick 2005, 9) მოსაზრებით სოციალისტური საზოგადოება ცდილობდა შეექმნა ბოლშევიკი ადამიანი, ამიტომაც თითოეული მოქალაქისთვის „სტალინური ცივილიზაციის კოდექსის სწავლა და შექმნა“ მთავარ დავალებას წარმოადგენდა. სტივენ კოტკინი (Kotkin 1995, 198-237) თვლის, რომ ბოლშევიკური ჩვევებისადმი ერთგულება სტალინურ რეპრესიებში მონაწილეობასაც გულისხმობდა. რევიზიონისტების მოსაზრებით, რიგითი მოქალაქეების მონაწილეობა სტალინურ რეპრესიებში ადასტურებდა ფაქტს, რომ ისინი მხოლოდ მსხვერპლები კი არ იყვნენ, არამედ სისტემასთან თანამშრომლობდნენ კიდეც. სარა დევისი (Davies 1997, 70-89) საუბრობს საბჭოთა ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობაზე და ამბობს, რომ მოქალაქეთა და ავტორიტეტების ამბიციები ერთმანეთს ემთხვეოდა. მიუხედავად სოციალური ნარატივების ხაზგასმისა, რევიზიონისტული მიდგომა ყურადღების მიღმა ტოვებს ფაქტს, რომ თითოეული ადამიანის მონაწილეობა საბჭოთა რეპრესიების დაგეგმვასა და განხორციელებაში რეპრესიული პოლიტიკის ნაწილი იყო, რადგან ვირტუალურმა დადანაშაულებამ საზოგადოებაში შექმნა შიშის, უნდობლობის, პროვოკაციისა და ღალატის ატმოსფერო.

სტალინური რეპრესიების ქართული ქვეთავის საბჭოთა კონტექსტში ჩასმა საკმაოდ რთულ დავალებას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ რეპრესირებულთა ოჯახები საუბრობენ ტერორის ტოტალიტარულ ბუნებაზე და აღიარებენ ადგილობრივების მონაწილეობას დაგეგმვასა და განხორციელებაში, ფრთხილად ეკიდებიან ლიდერებისა და მათ შორის სტალინის მხილებას. აღნიშნული გაორებული დამოკიდებულება თავის მხრივ ხელს უწყობდა და უწყობს მითის „სტალინმა არაფერი იცოდა“ წარმოქმნას, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს არსებული რეალობის შედარებით გულუბრყვილო შეფასებას.

როგორც ერთ-ერთი რეპრესირებული ილია ყენია იგონებს, საკანში მყოფებს სჯეროდათ, რომ მოსკოვში სახელმწიფო მმართველებმა არ იცოდნენ რა ხდებოდა ქვეყანაში. ამბობდნენ, როცა სასამართლოზე გადაგვიყვანენ, მაშინ იკითხონ ჯალათებმა – იმათი თვითნებობა და უხეშობა უნდა გამოვამჟღავნოთ. ისინი კი ვერ ხვდებოდნენ, რომ სწორედ ზემდგომთა მითითებით ხდებოდა ყველაფერი, ადგილებზე სამეულებს მიანდვეს ადამიანთა ბედი და ისე ჩახოცეს სადღაც, რომ დღეს მათი საფლავიც არავინს იცის (ყენია 1990, 35).

პრავდასა და კომუნისტში გამოქვეყნებული საბრალდებო დასკვნის შემდეგ მოცემულ საბოლოო სიტყვებში იკვეთება თითოეული მათგანის სინანული მათ მიერ ჩადენილი მავნებლობისადმი. ისინი საუბრობენ, თუ რაოდენ რთული იყო მათთვის საკუთარი დანაშა-

ულის აღიარება და იმის გააზრება, რომ საბრალდებო დასკვნაში აღნიშნული „საზიზლ-რობა“ შეუგნებლობით მოუვიდა. მათ, ერთი მხრივ, ეშინიათ საჯაროდ თავის მართლება და მეორე მხრივ, სტალინური რეპრესიების პერიოდში ცხოვრება მუდმივ ეჭვსა და გაუგებრობაში ტოვებს თითოეულ მათგანს: „მე ჩემს ცხოვრებას ვაფასებდი ობიექტურად და სუბიექტურად, რათა მეპოვა კავშირი ანტი-საბჭოთა და ანტი-პარტიულ საქმიანობასთან ან კონტაქტები სხვა დაპატიმრებულ პირებთან, თუნდაც „არაცნობიერი“ – წერს მიხეილ მგალობლიშვილი<sup>5</sup> თავის მემუარებში (მგალობლიშვილი 1972, 9). კატერინა კლარკი საბჭოთა კავშირის შეფასებისას ამბობს, რომ „მთელი ქვეყანა თავისი პოლიტიკური, სოციალური, სიმბოლური თუ კულტურული ასპექტებით იყო ცენტრისტეტალური და იერარქიული, რითაც ხაზს უსვამს კონტროლის ტოტალიტარულ ხასიათს“ (Waal 2013, 9). თუმცა საქართველოს შემთხვევაში სტალინი ეროვნულ სიმბოლოდ არის აღქმული რადგან, როგორც ლაშა ბაქრაძე ამბობს, გლეხის ოჯახში დაბადებულმა ბიჭმა კოლონიზებული ქვეყნიდან შეძლო არსებული წესრიგის წინააღმდეგ გალაშქრება და ამ სისტემის სათავეში მოქცევა (იქვე).

ქართულ აკადემიურ საზოგადოებაში საკითხის აქტუალობას მოწმობს ისიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში მომზადდა სხვადასხვა ნაშრომი რეპრესიების თაობაზე, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ გამოცემული „ალუირის“ პატიმართა პორტრეტები – სტალინიზმის ისტორიიდან, საბჭოთა წარსულის კალევის ლაბორატორიის მიერ გამოცემული წითელი ტერორის ტოპოგრაფია. ჩატარდა დისკუსიები (Sovlab-ის მიერ გოვთეს ინსტიტუტში ჩატარებული დისკუსიების ჩანაწერები), მომზადდა დოკუმენტური ფილმი „დიდი საბჭოთა ტერორი“ – ადამიანური ისტორიები (საბჭოთა წარსულის კალევის ლაბორატორიის მიერ მომზადებული მასალა), განხორციელდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის პროექტი „სტალინური სიები“, რომლის ფარგლებში შეიქმნა პირველი ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც 1937-1938 წლების „დიდი ტერორის“ მსხვერპლთა შესახებ მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს შეიცავს. მუშაობისას მკვლევრებმა გამოიყენეს კომპლექსური მეთოდები საკითხის შესასწავლად, მაგრამ არ მომზადარა მასალების სისტემატიზაცია და თავმოყრა. ამიტომაც აღნიშნული კალევის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს წყაროების მრავალფეროვნება, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს, როგორ ფორმირდება კულტურული/სოციალური მეხსიერება, რას აწვდის მას სახელმწიფო ოფიციალური ნარატივის სახით, როგორ აღიქვამს მას საზოგადოების კონკრეტული ჯგუფი და რა სახით მოვიდა ის დღევანდელ დღემდე.

საკითხის აქტუალობა განპირობებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართულ საზოგადოებაში არსებული განსხვავებული პოლიტიკური თუ სოციალური ნარატივების გაჩენით სტალინის და საბჭოთა კავშირის, როგორც სისტემის შესახებ. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მონაცემებით საქართველოში გამოკითხვის მომენტისათვის გამოკითხულთა 27% სტალინს დიდ პატივს სცემს, 34%-თვის კი სტალინი საკმაოდ ჭვიონი მმართველია. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული მოსახლეობის 45% უარყოფი-

5 მიხეილ მგალობლიშვილი გახლდათ ეროვნული კულტურის ღვაწლმოსილი მოღვაწე. 1920-იან წლებში გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე. 20-იანი წლების მიწურულს დაინიშნა ქუთასის პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების უფროსად. იმხანად რუსთაველის თეატრში მომხდარი განხეთქილების შემდეგ დასის ნაწილი კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით გადადის თეატრში და საფუძველი ეყრება ახალ თეატრს. მიხეილი კოტესთან ერთად მხარში ედგა ქართული თეატრის განვითარებას და გახლდათ თეატრის წარმატების ერთ-ერთი თანამოზიარე (მგალობლიშვილი 1972, 4).

თად აფასებს პოლიტიკურ რეპრესიებს, ქართველ რესპონდენტთა 26%-თვის ეს გამართლებული პოლიტიკური აქტია, რომლის გააზრება უნდა მოხდეს ისტორიულ კონტექსტში (Waal 2013, 9). სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, პირველ რიგში, ინტერესს სტალინის პიროვნებისადმი, მეორე მხრივ, ნოსტალგიურ დამოკიდებულებას სტალინის მმართველობის მიმართ და ბოლოს, სტალინის პოლიტიკის გამართლებას, რაც საბოლოოდ მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოთა წარსულის და კერძოდ, სტალინიზმის ფენომენის ძირეული გააზრება საზოგადოებაში ჯერ არ მომხდარა.

## თეორიული ჩარჩო და სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, საჭიროა, გამოიკვეთოს წარსულის რეპრეზენტაცია, განიხილოს ნარატივების სახე და მეხსიერების პოლიტიკის საკითხები, ასახოს კონკრეტული ჯგუფის დამოკიდებულებების შეფასება რეპრესიებთან დაკავშირებით, რომელმაც გავლენა მოახდინა აღნიშნული ჯგუფის აზროვნებაზე. შეკითხვაზე როგორ აისახა 1930-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები საქართველოში ოფიციალურ და ზეპირ ნარატივში და შეგვიძლია მივიჩნიოთ 1930-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები კულტურულ ტრავმად, მეხსიერების მკლევრებს შემდეგი პასუხები აქვთ: ჯეიმს ვერჩის მიხედვით (Wertsch 2012, 14) ნარატივს აქვს სქემატური სტრუქტურა, რომელსაც აქვს თავისი კონკრეტული მოცემულობა, ჰყავს მონაწილეები, აქვს განსაზღვრული თარიღები და ა.შ. ამიტომაც მემუარებში, დღიურებში თუ ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში გამოკვეთილია კონკრეტული მოვლენა და მისი მასშტაბური ხასიათი, დაზარალებული და დამნაშავე მხარეები. მემუარებში აშკარაა საბჭოთა კავშირის, როგორც მექანიზმის და სტალინის, როგორც არქიტექტორის მტრად გამოყვანის მცდელობა, რადგან რეპრესირებულებს მათ გვერდით მყოფი პატიმრებისგან განსხვავებით კარგად ესმით ის ფაქტი, რომ რეპრესიები ძირითადად უდანაშაულო ადამიანებს შეეხო, კარგად გათვლილი და დაგეგმილი იყო საბჭოთა არქიტექტორების მიერ და ქვემდგომი ორგანოები მხოლოდ ცენტრალური ორგანოების მითითებებს ასრულებდნენ.

პიტერ ბერკის მოსაზრებით, არსებობს მეხსიერების ისეთი მედიუმები, როგორიცაა ზეპირი ტრადიცია, ისტორიკოსის შემოქმედება, გამოსაზულებითი და ფოტოგრაფიული ხატები, მოქმედებები, რიტუალები. პირველთა მეშვეობით გადაიცემა ცოდნა და გამოცდილება. რიტუალები კი მეხსიერების აქტია, რომლის მეშვეობით ხდება წარსულის კვლავ-წარმოება, ინტერპრეტაცია და მეხსიერების ფორმირება და სივრცე, სადაც ლოკალიზდება მეხსიერების „ხატები“ (Burke 1980, 88).

რეპრესირებულთა ისტორიების კულტურული ტრავმის კონცეფციის განხილვისთვის სოციოლოგი ჯეფრი ალექსანდრერი (Alexander 2003, 11) შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობს: კულტურულ ტრავმის წარმოქმნას წინ უნდა უძლოდეს რაღაც კონკრეტული მოვლენა, შემთხვევა. თუმცა, ამასთანავე, იგი არ გამორიცხავს, რომ ტრავმა წარმოიქმნას მანამ, სანამ ეს მოვლენა გამომულავნდება. ტრავმის გამოწვევას საზოგადოებაში ხელს უწყობს ამ მოვლენის რეპრეზენტაციები, ისინი კი, ხშირად, რეალობისაგან დაშორებულიც შეიძლება იყოს. ეს რეპრეზენტაციები ხდება ჯგუფის წევრების აზროვნებაში, როდესაც მათ წინაშე წარმოიშობა მტკიცნეული კითხვები საკუთარი იდენტობის გააზრებასთან დაკავ-

შირებით: ვინ არიან ისინი? სადაურები არიან და საით მიდიან? „ტრავმა არ არის შედეგი ჯგუფის ტკივილის გამოცდილებისა, ეს არის შედეგი მტკივნეული დისკომფორტისა კოლექტივის აზროვნებაში“ (იქვე, 11).

ანთროპოლოგის პიოტრ შტომპკასთვის (Sztompka 2004, 155-159) კი აულტურული ტრავმა შემდეგი მახასიათებლებითაა წარმოდგენილი: სწრაფი, უცარი, ყოვლისმომცველი, რადიკალური და არაპროგნოზირებადი. მოულოდნელი ცვლილება, რომელზეც რეპრესირებულთა ოჯახის შვილები საუბრობენ, მოიცავს მშობლების დაპატიმრებას, მშობლიური სახლის ჩამორთმევას, თავიანთ ნათესავებთან თუ მეზობლებთან ცხოვრებას და შემდგომში, ოჯახის წევრის (დედის) დაბრუნებას. სტალინური რეპრესიების ყოვლისმომცველობა „ხალხის მტრის“ სახელთანაა დაკავშირებული. ეს კონკრეტული იარღიყო განსაზღვრავდა კომუნისტური პარტიის სტრატეგიას, გამოევლინათ ხალხის მტრები, შეეგროვებინათ მათზე არსებული ინფორმაცია და დახმარებოდნენ სახელმწიფოს უცხოურ აგენტებთან ბრძოლაში. აღნიშნულმა განაპირობა უნდობლობისა და შიშის ატმოსფეროს შექმნა, რაც თითოეული ოჯახის წევრმა 1937-38 წლებში მშობლების დაპატიმრებითა თუ გადასახლებით გამოსცადა.

როგორც სმელსერი (Smelser 2004, 31-59) ამბობს, ნებისმიერი ისტორიული მოვლენის კულტურულ ტრავმად კვალიფიკაცია დაკავშირებულია იმ რწმენასთან, რომ ამ კონკრეტულმა ნეგატიურმა გამოცდილებამ შეარყია არამხოლოდ ჯგუფის, არამედ მთლიანად საზოგადოების მნიშვნელოვანი ელემენტები. უფრო მეტიც, საზოგადოებაში გააჩინა ზიზღის, სირცევილისა და დანაშაულის სინდრომი. რეპრესირებულთა ისტორიები სავსეა დანაშაულის შეგრძნებით საკუთარი მეგობრების, ოჯახის წევრების, ნათესავების და ხშირად საკუთარი თავის მიმართ. თითოეული მათგანი გამოხატავს „არაცნობიერ“ სინანულს ოჯახის წევრების მიერ ჩადენილი საქციელის მიმართ, რომლის გამოც ხშირად ჰქონდათ დანაშაულისა და სირცევილის შეგრძნება.

საზოგადოებაში არსებული უნდობლობის სრულად აღსაწერად იმდროინდელი საბჭოთა ბეჭდური პრესის მცირე მიმოხილვაც საკმარისია. ერთ-ერთი პირველი სტატია კონტრრევოლუციურად განწყობილი პოლიტიკური ელიტის შესახებ გაზეთ „პრავდაში“ 1937 წლის 21 იანვარს გამოჩნდა. გაზეთის პირველივე გვერდზე განთავსებული სტატია სათაურით „ტროცკისტული ჯაშუშები, დივერსანტები, სამშობლოს მოღალატენი“ საზოგადოებას აწვდიდა ცნობებს პროკურატურიდან: „...დანაშაულებანი სხვადასხვანაირია, მათი საერთო სახელია შავი ღალატი სამშობლოსადმი, კაპიტალიზმის რესტავრაცია. გამცემლები უკავშირდებოდნენ საბჭოთა ქვეყნის მოსისხლე მტრებს – უცხოელ აგრესორებს. ისინი თავის ამოცანად ისახავდნენ, დაეჩქარებინათ თავდასხმა საბჭოთა კავშირზე იმ ვარაუდით, რომ იგი დამარცხდებოდა ომში. ტროცკის დავალებით მათ მოაწყვეს შპიონაჟი, მავნებლობა უმნიშვნელოვანეს საწარმოებში, ამზადებდნენ და ცხოვრებაში ატარებდნენ დივერსიულ (ძირგამომთხრელ) აქტებს, რათა შეესუსტებინათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა...“ (პრავდის მოწინავე, 21/1).

გაზეთებში ინფორმაცია რამდენიმე მიმართულებით ქვეყნდებოდა: სტატიები „სამშობლოს მოღალატეების“ საქმიანობების შესახებ, უცხოური პრესის გამოხმაურებანი, ბოლშევიკური საქმიანობის პროპაგანდა და მისი საჭიროება, სასამართლო პროცესების ჩანაწერები, სხდომის ოქმები და ბრალდებულთა აღიარებანი. თითოეულ მათგანზე დაკვირვებისას, კარგად ჩანს, როგორ ცდილობდა სახელმწიფო აპარატი თითოეული თავისი

ნაბიჯის გამართლებას ბოლშევიკური ღირებულებებისადმი ერთგულებით და საზოგადოებაში მათი აქცენტირებით.

1937 წლის 27 იანვრის ნომერში სტატია სათაურით „სიკვდილი სიკვდილით მოვაჭრებს, სისხლიან ფაშისტებს, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებს“ თბილისის საწარმო დაწესებულებებში გამართული აქციების შესახებ საუბრობს: „...ყველგან, სადაც კი მშრომელნი საბრალდებო დასკვნას გაეცნენ, უაღრესად აღშფოთებულნი გამოხატავდნენ თავიანთ სიძულვილს სოციალისტური სამშობლოს დაუძინებელი მტრებისადმი, საზიზლარი ტროცკისტებისადმი....“

1937 წლის 27 იანვრის პრავდის მოწინავე აქცენტებს სტატიას სათაურით „ხალხის გულისწყრომისა და მძულვარების მრისხანე ტალღები“, რომელიც ეხმაურება სასამართლო პროცესსა და საბრალდებო დასკვნებს. „როგორც კი ჩვენს ქვეყანაში გავრცელდა მკაცრი სიტყვები საბრალდებო დასკვნისა ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის საქმეზე, როგორც კი დანაშაულზე წასწრებულ ავაზაკთა პირველი ჩვენება გაისმა სასამართლო დარბაზიდან, ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხი ამოძრავდა, გაყინული ჰაერი გაჰკვეთა ფაბრიკებიდან საყვირებმა, შეუკავებელი გულისწყრომის გრძნობამ შეიძყრო მშრომელნი და ყველგან, ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში, წითელი არმიის ნაწილებში, ხომალდებზე, სადაც დაიაწყო მრისხანე, უდიდესი ძალით აღსავსე კრებები: „აღვგავოთ პირისაგან მიწისა ტროცკისტული ქვემძრომი“ – აი დიადი ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა. „ჩვენ საგუშაგოზე ვართ, მუდამუამს მზად ვართ, აღვდგეთ ჩვენი დიადი სამშობლოს დასაცავად, მტრები, რომლებმაც გახედეს, დაერღვიათ საზღვრები, ჩვენი მშვიდობიანი შრომა, დაუნდობლად იქნებიან მოსპობილნი.“ ამ პასაუში ყურადღებამისაქცევია რამდენიმე დეტალი: პირველი, აღნიშნული წერილის ავტორები თავს მიაკუთვნებენ ბოლშევიკური ღირებულებების მატარებელ ადამიანებს და ტროცკისტებს საერთო მტრად მოიაზრებენ. მეორე, პროცესების მართებულობა ეჭვქვეშ არ დგება და სრულდება ე.წ. „ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა“. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ტროცკისტების „დასჯა“ მხოლოდ სახელმწიფო აპარატის კი არა, ხალხის ნებას წარმოადგენს. ამავე საკითხს ეხმაურება 1937 წლის 2 თებერვლის „კომუნისტის“ სტატიები სათაურებით „ბოლშევიკური ენერგიით ბოლო მოვულოთ მავნებლობის შედეგებს“, „ტროცკი ხალხის მტრია“, „ხალხის მტრები საბოლოოდ უნდა განადგურდნენ“, „ლირსეული სასჯელი, სამართლიანი განაჩენი“, რაც კიდევ ერთხელ აკეთებს აქცენტს სახელმწიფოსა და ხალხის ნების თანხვედრაზე.

აღსანიშნავია ის სახელები, რომელსაც 1937 წლის იანვრისა და თებერვლის კომუნისტის ნომრებში იყენებდნენ ტროცკისტების მისამართით: „ქვეწარმავალნი“, „დამნაშავეთა ბანდა“, „მორალურად უბადრუკნი“, „მორალურად გახრწნილნი“, „ტერორისტები“, „ხალხის მტრები“. თითოეულ სახელში ჩანს რედაქტორთა და სტატიის ავტორთა დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ: სტატიების სათაურებში თავიდანვე იგრძნობა ხაზგასმა ტროცკისტების დამნაშავეობაზე, მათ იდეოლოგიურ განსხვავებებზე და უფრო მეტიც, მათ ღალატზე ბოლშევიკური იდეოლოგიების და, ზოგადად, საბჭოთა კავშირის მიმართ.

საბჭოთა ბეჭდური მედიის მიმოხილვა აჩვენებს, რომ სტალინური რეპრესიების გაშუქება ემსახურებოდა ბოლშევიკური ღირებულებების გამოკვეთას, ტროცკისტული საქმიანობის „ფაშისტურ“ გერმანიასთან დაკავშირებასა და სტალინის, როგორც დიქტატორის კულტის წინა პლანზე წამოწევას. სააგტორო თუ სარედაქციო სტატიების უმეტესობა

იმოწმებდა სტალინის სიტყვას, ციტატას, ნაწერს და ა.შ., როგორც კონკრეტული მოსაზრების ლეგიტიმაციის საშუალებას. ბოლშევიკური ღირებულებების გამოსაკვეთად კონტრევოლუციონერთა შესახებ დაწერილ სტატიებში მუდმივი ხაზგასმა იყო ღირებულებების ღალატზე, რომელიც გაიგივებული იყო სამშობლოს და ხალხის ღალატთან.

კულტურული ტრავმის კონცეფციის განხილვისას ალექსანდერი გამოყოფს შემდეგ მახასიათებლებს: ტრავმის ბუნება, მსხვერპლის მახასიათებლები, საკუთარი გამოცდილების განზოგადება და პასუხისმგებლობის გადატანა. იმისთვის, რომ ტრავმის ბუნება უკეთ აღვიქვათ, სტალინური რეპრესიების ტრავმული გამოცდილება შემდეგ ნაწილებად უნდა დავყოთ: 1. მშობლებთან და ოჯახის წევრებთან დაშორება 2. ოჯახის წევრების (ძირითადად, დედის) დაბრუნება და ახალი ცხოვრების დაწყების მცდელობა, ხალხის მტრის შვილად ცხოვრების გამოცდილება და ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების შესაბამის კონტექსტში მიღება/თავის არიდება (Alexander, 2003, 6).

მსხვერპლის მახასიათებლები ზეპირი ისტორიის კითხვისას სხვადასხვაა, თუმცა ფაქტი ერთია, რომ სტალინური რეპრესიები შეეხმ ყველას განურჩევლად სქესისა, ეთნიკური თუ სოციალური მიკუთვნებულობისა. ტერორის სხვადასხვა ეტაპზე სისტემამ გაწირა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, პოლიტიკური ელიტა, ინტელიგენციის წარმომადგენლები, მღვდელმთავრები, მიწათმფლობელები, ქარხნისა თუ ფაბრიკის მფლობელები, ბიუროკრატები, და ჩინოვნიკების ცოლები.

საკუთარი გამოცდილების განზოგადება ერთ-ერთ ყველაზე რთულ დავალებას წარმოადგენს მკვლევრისთვის, რადგან რეპრესირებულთა ინდივიდუალური ტრავმა, რომელმაც ისინი კონკრეტულ ჯგუფს მიაკუთვნა, შესაძლოა ვიწრო წრეში გაზიარდეს და არა უფრო ფართო საზოგადოებაში. როგორც ნილ სმელსერი საუბრობს, არსებობს კავშირი კულტურულ ტრავმასა და ეროვნულ იდენტობას შორის. ტრავმა შეიძლება გახდეს ჯგუფის მობილიზების ან მისი ფრაგმენტაციის გამომწვევი მიზეზი (Smelser 2004, 43). სტალინური რეპრესიების ტრავმამ კონკრეტული ჯგუფისთვის მობილიზების ფუნქცია შეიძინა. თუმცა ასევე დააშორა იმ ჯგუფებთან, რომელთაც ეს ტრავმა ამ სიმძაფრით არ გაუვლიათ ან საერთოდ არ გამოუცდიათ.

პასუხისმგებლობის გადატანა ადამიანებზე, ინსტიტუტებზე თუ კონკრეტულ ჯგუფზე სხვადასხვა ისტორიაში სხვადასხვანაირადაა მოცემული. ამ პასუხისმგებლობამ შეიძლება მოიცვა ვიწრო წრე, ადგილობრივი საიდუმლო პოლიციის წარმომადგენლები, ადგილობრივი ინკვიზიტორები და რეპრესიების დამგეგმავები. რეპრესირებულები ხშირად საუბრობენ იმ ინდივიდებზე, ინსტიტუტებსა თუ ჯგუფებზე, რომელთაც, მათი აზრით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკუთვნით, თუმცა მაინც იკავებენ თავს საბჭოთა ცენტრალური თუ ადგილობრი ხელისუფლების წარმომადგენლების დასახელებისგან.

ალექსანდერი (Alexander 2003, 6) ასევე ხას უსვამს ტრავმის მატარებელი ჯგუფის იდენტობას და აღნიშნავს, რომ რეპრესირებულთა ოჯახის წევრები არიან ტრავმის პროცესის „კოლექტიური აგენტები“, რადგან სწორედ ისინი განსაზღვრავენ სოციალურ სტრუქტურას და საკუთარი წუხილების უკეთ დაყენება შეუძლიათ ფართო აუდიტორიისთვის. ისინი შეიძლება ელიტარული ჯგუფის წევრები იყვნენ, ან მარგინალური და არაინტერებულისა. გამომდინარე იქედან, რომ ტრავმის პროცესი მოიცავს ჯგუფს, აუდიტორიას, კულტურულ, ისტორიულ ან ინსტიტუციური კონტექსტს, მათ უნდა ჰქონდეთ მზაობა, აღიქვან საერთო ველი, გაცვალონ თავიანთი დაკვირვებები და გამოცდილებები

და საჯარო სივრცეში, მედიასა თუ ლიტერატურაში შეძლონ საკუთარი აზრის პოვნა (Sz-tompka 1989, 11).

1930-იანი წლების სტალინური რეპრესიების შესახებ საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. რეპრესიების შესახებ საუბრისას ავტორები გამოყოფენ ისეთ ასპექტებს, როგორიცაა პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებების და მკვლელობების მასშტაბები, დაკავებულთა მდგომარეობა საკნებში, მათი მუშაობისა და ცხოვრების პირობები შრომა-გასწორების კოლონიებსა თუ გადასახლებაში, რეპრესიული პოლიტიკის ლოგიკა. თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ მკვლევრები ნაკლებად განიხილავენ მეხსიერების პოლიტიკის წარმოებას საბჭოთა კავშირში რეპრესიების შესახებ.

სტალინური რეპრესიების საწყისად სერგეი კიროვის მკვლელობაა მიჩნეული, რომელ-საც რობერტ კონკუსტი ერთ-ერთ ყველაზე „გამართლებულ დანაშაულად“ მიიჩნევს. „... შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში ათასობით საბჭოთა მოქალაქე პოლიტიკური რევოლუციონერებით დაწყებული სწორედ ამ მკვლელობის პასუხისმგებლობამ შეიწირა... კიროვის მკვლელობა, როგორც ფაქტი საფუძვლად დაედო საბჭოთა ტერორის მთელ სტრუქტურას“ (Conquest 2008, 90).

საწყის ფაზაში რეპრესიები კონცენტრირებული იყო საკუთრივ უშიშროების ორგანოებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. დახვრიტეს საბჭოთა სახელმწიფოს დამფუძნებლის, ვლადიმირ ლენინის პერიოდის თითქმის ყველა წამყვანი რევოლუციონერი, ე.წ. „ძელი ბოლშევიკები“. ბევრი მათგანი აწამეს და დამამცირებელი საჩვენებელი სასამართლო პროცესები მოუწყვეს. მოგვიანებით სტალინმა უფრო შორს ისროლა თავისი ბადე: დაუნდობლად ანადგურებდა ინტელიგენციის წარმომადგენლებს, სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის ლიდერებს, „ანტი-საბჭოთა ელემენტებს“ ცარიზმის პერიოდიდან, უცხოელებსა და იმ პირებს, ვისაც უცხოეთთან კონტაქტი ჰქონდა. თვით სტალინი ყურადღებით ადგვნებდა თვალს რეპრესიებს. საბჭოთა არქივები გვამცნობს, რომ პირადად მას აქვს ხელმოწერილი ბრძანებულებები 40 000-მდე ადამიანის დახვრეტის შესახებ. ხშირად ის ჩანაწერებს აკეთებდა კონკრეტულ სახელებთან, საიდუმლო სამსახურს ავალებდა მათ წამებას (რაღიო თავისუფლება 2014).

საბჭოთა ისტორიის მკვლევრის, ოლეგ ხლევნიუკის (Khlevniuk 2004, 165) მოსაზრებით, 1937-38 წლების რეპრესიების საწყის პერიოდად 1937 წლის ივლისი, ხოლო დასასრულად 1938 წლის ნოემბერია განსაზღვრული. იმდროინდელი გაზეთების ინფორმაციით, სწორედ ამ პერიოდის განმავლობაში დაპატიმრეს კომუნისტური პარტიის წევრები, რომელთაც კონტრევოლუციური საქმიანობა ედებოდათ ბრალად. „დიდი ტერორის განმავლობაში დაახლოებით 1 575 259 ადამიანი დაპატიმრეს და მათი თითქმის ნახევარი დახვრიტეს. თუ ვიმსჯელებთ, რომ დაახლოებით 700 000 ადამიანი დახვრიტეს ტერორის დროს, გამოდის, რომ 1 500 ადამიანს ყოველდღე ხვრეტდნენ“ (იქვე, 166).

რუსეთის, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის კვლევის ეროვნული რესურს ცენტრის პუბლიკაციის მიხედვით (Hosford, Kachurin and Lamont 2006, 5) საბჭოთა რეპრესიების დროს დამნაშავეები ორ კატეგორიად იყოფოდნენ: პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ადამიანები, რომელთაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაული (მკვლელობა, ქურდობა, გაუპატიურება). მეორე კატეგორიაში კი მოიაზრებოდნენ ის ადამიანები, რომელთაც დანაშაული არ ჩაუდენიათ, მაგრამ დაასმინეს და რამდენიმეწუთიანი დაკითხვის შემდეგ გამოუტანეს განაჩენი.

სოვეტოლოგ გაბორ რიტერშპორნის (Ritterporn 2003, 100) მოსაზრებით, 1930-იანი წლების პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობებს კონსპირაციული ინტრიგები განსაზღვრავდა. შეთქმულება გახდა ერთ-ერთი წამყვანი პარადიგმა, რომლის მიხედვითაც სისტემა ხსნიდა პოლიტიკურ პროცესებსა და სოციალურ დაპირისპირებებს. „შეთქმულების მომწყობის“, „მოღალატის“ სახელი 4 წელიწადში „ხალხის მტრის“ სახელმა შეცვალა. 1937 წლისთვის კომუნისტური პარტიის ვეტერანი წევრები და მაღალჩინოსნები მტრად მოინათლნენ. მოსახლეობისთვის მარტივი იყო რეპრესიების ლოგიკის ჩვენება: სისტემაში არსებული ხარვეზები თანამდებობის პირების მოშორებით უნდა აღმოფხვრილიყო. სწორედ ამიტომაც მარტივი გახდა შემდეგ ადამიანების მასობრივი დაპატიმრებების გამართლება. თითოეული მათგანი კონტრრევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა და სახელმწიფოს მტერი გახლდათ.

საინტერესოა გერმანელი მკვლევრის, მანფრედ ჰილდერმეიერის (Avalishvili 2010, 4) მოსაზრება საბჭოთა რეპრესიების შესახებ არსებული შეხედულებების თაობაზე: ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, კომუნისტური იდეოლოგიის მთავარ შემადგენელ ნაწილს რეპრესიები წარმოადგენდა. მეორე მოსაზრების მიხედვით, რეპრესიები განხილულია ტოტალიტარიზმის ჩარჩოში, რაც თავის მხრივ 1930-იანი წლების პოლიტიკური რეპრესიების მთელ პასუხისმგებლობას სტალინს აკისრებს. ამ უკანასკნელს უპირისპირდება რევიზიონისტული ხედვა, რომელიც ამტკიცებს, რომ შეუძლებელია რეპრესიებისა და დეპორტაციების პასუხისმგებლობის ერთ ადამიანზე დაკისრება და ის, რომ ძალადობრივი იმპულსი ე.წ. თოვლის გუნდის პრინციპით გავრცელდა და საზოგადოების ყველა ფენა მოიცვა. არსებობს ავტორების ნაწილი, რომელიც რეპრესიების გამომწვევ მიზეზად საშუალო და დაბალ ფენებში არსებულ ძალთა გადანაწილებას ასახელებს.

პოლ ფლუვერსი (Plauwers 2011, 21) გვაწვდის ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, რეპრესიების გამომწვევ ერთ-ერთ პირველ მიზეზად კომუნისტური პარტიის რიგებში ოპოზიციის გაჩენა სახელდება. მკვლევრები ხშირად საუბრობენ, რომ პოლიტიკური რეპრესიები წარმოადგენდა ბოლშევიკური, ტოტალიტარული რეჟიმის ლოგიკურ გაგრძელებას, ის დაკავშირებული იყო საბჭოთა არქიტექტორების და მათ შორის სტალინის პიროვნულ თვისებებთან და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

ბოლშევიკური იდენტობის შექმნის პროცესი კარგად არის განხილული შეილა ფიცატ-რიკის წიგნში „Tear off Masks! Identity and Imposture in Twentieth-Century Russia“ (მოიხსენით ნიღბები! იდენტობა და ტყუილი მეოცე საუკუნის რუსეთში). როგორც ავტორი საუბრობს, დღიურების წერა წარმოადგენდა საკუთარი თავის გამოხატვის, ძიებისა და თავიდან შექმნის შესაძლებლობას, რომელიც კარგად ერგება პისტ-რევოლუციური საზოგადოების მდგომარეობას: „ვინც საკუთარი თავის ხელახლა შექმნას ემსახურება, ამტკიცებს რომ გულით ყოველთვის ის საბჭოთა ადამიანი იყო, ახლა რომ უნდა გახდეს“ (Fitzpatrick 2005, 3).

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზიდან ირკვევა, რომ საბჭოთა რეპრესიების განხილვისას მკვლევრები უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხებზე, გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და მათ ჩართულობაზე პოლიტიკის განხორციელებაში და ნაკლები აქცენტი კეთდება თავად მეხსიერების ფორმირების მექანიზმებზე 1930-იან წლებში.

საერთაშორისო მემორიალის მონაცემებით, სტალინური რეპრესიები ოთხ ძირითადად ფაზას მოიცავდა: პირველი ფაზა (1936 წლის ოქტომბერი, 1937 წლის თებერვალი) გულის-

ხმობდა ინსტიტუციურ მოწყობას, განსაკუთრებით სასჯელალსრულებითი ორგანოების (როგორიცაა შინსახკომი) ჩამოყალიბებას. მეორე ფაზა (1937 წლის მარტიდან ივნისამდე) კომუნისტური პარტიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ „უცხოური დაზვერვის სამსახურების აგენტების“ წმენდას მოიცავდა. ამ პერიოდის განმავლობაში დაპატიმრეს ინტელიგენციის წარმომადგენლები, კულაკები და ეროვნული დიასპორის წარმომადგენლები. მესამე ფაზაში (1937 წლის ივლისიდან 1938 წლის ოქტომბრამდე) დაპატიმრეს ხალხის მტერთა ოჯახის წევრები. ბოლო, ფინალური ფაზის დროს (1938 წლის ნოემბრიდან 1939 წლამდე) დაიწყეს დაპატიმრებულთა გათავისუფლება ან შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანა.

რეპრესიების განხორციელების ოფიციალური დოკუმენტი სტალინური სიების სახელითაა ცნობილი. მას ხელს აწერდნენ სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, პოლიტბიუროს წევრები და მოიცავდა სხვადასხვა ტიპის სასჯელას სხვადასხვა ტიპის დანაშაულებებისთვის. ხალხის დახვრეტაზე/გადასახლებაზე გადაწყვეტილებას იღებდა სპეციალური სამეული, რომელიც პასუხისმგებელი იყო მოესმინა თითოეული საქმე და სასამართლოზე გაეტანა. სამეული შედგებოდა კომისარისგან, შინსახკომის უფროსისგან და ადგილობრივი პარტიული მუშაკისგან (Avalishvili 2010, 2-6).

ყველა პატიმარს საბჭოთა კავშირში „სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი“ ჰქონდა შეფარდებული, რაც გულისხმობდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრობას, ტროცკიზმს, ტერორს, ჯაშუშობასა და მავნებლობას. არავინ იცოდა რომელი ორგანიზაციები იყვნენ კონტრრევოლუციური, რა მავნებლობა იყო დაპატიმრებულთა საქციელში და რატომ ითვლებოდა ტერორად მათი საქმიანობა.

1936 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ლავრენტი ბერიამ, ოფიციალურად გამოაცხადა დევნა ანტი-საბჭოთა ელემენტებზე საქართველოში (გიგინეიშვილი 2008, 75). პირველი ქართული სია, რომელსაც ხელს ი.ვ. სტალინი და ვ. მოლოტოვი აწერდნენ 1936 წლის მაისში ჩამოვიდა. აღნიშნულში განხილული იყო ორი კატეგორია, რომელთაგანაც პირველ კატეგორიაში (დაპატიმრება და დახვრეტა) 139 ადამიანის სახელი და გვარი იყო მოცემული, ხოლო მეორე კატეგორიაში (10 წლიანი დაპატიმრება/გადასახლება) – 39 ადამიანი. პირველი კატეგორიის დანაშაულის მქონენი ყველაზე აქტიურ და საშიშ ანტისაბჭოთა ელემენტებად ითვლებოდნენ თავიანთი კონტრრევოლუციური აქტივობებისთვის. აქედან გამომდინარე, ისინი დაუყოვნებლივ უნდა დაეკავებინათ და დაეხვრიტათ. მეორე კატეგორიის დამნაშავებსაც დაუყოვნებლივ დაკავებასა და პატიმრობას ან შრომა-გასწორების კოლონიაში გადასახლებას უსჯიდნენ (Werth, 2010). 1937-38 წლის სიების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ თითქმის 40 000 სახელი და გვარიდან 3 485 საქართველოდან გახლდათ (მესამე ყველაზე დიდი რიცხვი რუსეთისა და უკრაინის შემდეგ).

ლევან გიგინეიშვილის მოსაზრებით, თუ ადამიანი თავს პარტიელად მიიჩნევდა და თავისივე პარტია მას დამნაშავედ ცნობს, თუნდაც უსამართლოდ, ამ უკანასკნელს ერჩივნა აეტანა, ვიდრე დაევიწყებინა ყველაფერი და თავზეხელადებულს ეყვირა: „გვიშველეთ, გვხოცავენ, ტყუილი აღიარებების საფუძველზე გვხვრეტენ, ეს ყველაფერი ფარსია!“ მას ერჩივნა საკუთარისგან დასჯა ვიდრე უცხოსგან, არაკომუნისტებისგან მიღებული შველა (გიგინეიშვილი 2008, 57).

შინსახომის ხელმძღვანელობა საქართველოში ეფოვისა და ბერიას დაქვემდებარება-ში იყო. რაფავასა და რუხაძის დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი ინკვიზიტორები გახლდნენ სერგო გოგლიძე, ბოგდან ქობულოვი, შალვა წერეთელი, სარდიონ ნადარა-ია, ალექსანდრე ხაზანი. ზოგიერთი მათგანი პასუხისმგებლობას იღებდა გაყალბებული ბრალდებების შექმნაზე, მაშინ როცა სხვებს უწევდათ, დაეკითხათ, ეწამებინათ ან დაეხვ-რიტათ პატიმრები. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერიას გარდაცვალების შემდეგ ყველა მათ-განი დააპატიმრეს და დახვრიტეს (მურუსიძე 2015, 35).

## რეპრესირებულთა შვილების ნარატივის ანალიზი

### ინტერვიუების ანალიზი

წინამდებარე ქვეთავი წარმოადგენს რეპრესირებული ოჯახის შვილების ინტერვიუ-ების ანალიზს საქართველოში. ზეპირი ისტორიების უმეტესობა, რომელიც ამ ქვეთავშია განხილული საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიისა და ჰაინრიშ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიური ბიუროს მიერ იქნა ჩაწერილი. პროექტის განმავლობაში მკვლევრებ-მა შეისწავლეს საოჯახო არქივები (ფოთოები, ბიოგრაფიები ან სხვა დოკუმენტები) და შეაგროვეს ინდივიდუალური ისტორიები, რომელიც რეპრესირებულთა ოჯახის წევრებმა გადმოსცეს. ინტერვიუების ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი სამშობლოს მოღალატეთა ცო-ლების ყაზახეთში გადასახლებას აღნიშნავს და 2008 წელს მომზადდა საერთაშორისო სა-ზოგადოება მემორიალისა და ჰაინრიშ ბიოლის ფონდის ერთობლივი კვლევითი პროექტის ფარგლებში. პუბლიკაციაში „ალუირის“ პატიმართა პორტრეტები – სტალინიზმის ისტო-რიიდან“ შესულია 18 ინტერვიუ და ორი გამოკვლევა. გარდა ჩაწერილი და გამოქვეყნებუ-ლი ზეპირი ისტორიებისა, ნაშრომში მოცემული ლილი ოშაკაშვილისა და იოსებ ცინცაძის ისტორია ჩემს მიერაა ჩაწერილი და ორივესგან მაქვს ვერბალური და წერილობითი თანხ-მობა, რომ მათი სიტყვები ნაშრომში გამოვიყენო.

ზეპირი ისტორიები განხილულია ინდივიდუალური და კოლექტიური ტრავმის პრიზ-მიდან. რეპრესირებული ოჯახების შვილები გვიყვებიან ტერორის იმ ეპიზოდებზე, რო-მელიც დაამახსოვრდათ. ინტერვიუს განმავლობაში რესპონდენტები აღწერენ თავიანთი მშობლების ინდივიდუალურ მოგონებებს და გვიზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს სისტე-მის, საბჭოთა რეპრესიების ლოგიკისა და სტრატეგიების შესახებ.

რესპონდენტების შერჩევა შემდეგ კრიტერიუმს დაეყრდნო: სოციალური სტატუსი (იგულისხმება: პოლიტიკური პატიმრები, ინტელიგენცია და მუშათა კლასი) – გამომდინა-რე იქედან, რომ ინტელიგენცია გახლდათ სტალინური რეპრესიების ერთ-ერთი მნიშვნე-ლოვანი სამიზნე ჯგუფი, რეპრესირებულთა ისტორიების უმეტესობა სწორედ ინტელიგენ-ციის შვილთა თხრობას გვთავაზობს; 2. თაობა – ყველა რესპონდენტი არის სტალინური რეპრესიების მსხვერპლის შვილი; 3. ორივე მშობელი არის სტალინური რეპრესიების მსხვერპლი, რაც ნიშნავს იმას, რომ მამები დაიჭირეს და დახვრიტეს, ხოლო დედები გადა-ასახლეს და ყველა მათგანი დაბრუნდა შრომა-გასწორების კოლონიიდან.

მიუხედავად ისტორიებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებებისა, მათი თხრობა დაყოფილია შემდეგ ეტაპებად: მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მშობლების შე-

სახებ, მშობლების დაპატიმრება, საზოგადოების დამოკიდებულება დაპატიმრებულთა შვილების მიმართ, დედის დაბრუნება, სტალინის სიკვდილი და მშობლების სახელის რეაბილიტაცია.

### ცნობები რეპრესიების შესახებ

1937 წლის ზაფხულში დაიწყეს მასობრივი დაპატიმრებები და 1938 წლისთვის კი ხალხის მტრის ცოლების დაპატიმრება და გადასახლებები. 1938 წელს 26-ე შრომითი დასახლების ბაზაზე აკმოლინსკის (ყაზახეთი) ქალთა სპეცგანყოფილება გაიხსნა, სადაც ხელისუფლებას ისინი ჩაჰურდა, ვინც თავისი პატიმრობის ვადა მიიღო, როგორც „სმოწ“ (სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრმა). აკმოლინსკელი პატიმარი ქალები თავის კუნძულს ერთმანეთთან საუბრისას ნახევრად ხუმრობით მოიხსენიებდნენ ეგზოტიკური სიტყვით „ალჟირ“ – აკმოლინსკის სამშობლოს მოღალატეთა ცოლების ბანაკი („ალჟირის“ პატიმართა პორტრეტები – სტალინიზმის ისტორიიდან, 2008).

1936-38 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ფარგლებში დაპატიმრეს 18 000 ქალი. ეუოვის 1937 წლის 15 აგვისტოს ბრძანებით, არ იყო აუცილებელი ქალს ჰქონოდა რამე კონკრეტული, ინდივიდუალური დანაშაული, „ტროცკისტის“ ცოლობა საკმარისი იყო, რომ დაეპატიმრებინათ. დაპატიმრების შემდეგ განაჩენში ეწერებოდა შემდეგი ფრაზა: „ცხოვრობდა ქმართან (...) წელი; მისთვის ცნობილი იყო ქმრის კონტრევოლუციური საქმიანობის შესახებ, მაგრამ საგამოძიებო ორგანოებს არ შეატყობინა“ (ბექიშვილი 2008, 72).

მშობლების გადასახლების შემდეგ რეპრესირებულთა შვილების მდგომარეობა მათ მიმართ ეჭვნარევი დამოკიდებულებითაც გამოიხატებოდა. მართალია, „ტროცკისტების შვილები“ სკოლაში კარგად სწავლობდნენ, მაგრამ მათ ყოველთვის აყვედრიდნენ სამშობლოს მოღალატეთა ოჯახის შვილობას. „არასოდეს მიგრძვნია, რომ მშობლები გადასახლებულები იყვნენ, ინსტიტუტშიც მოვეწყვე...კომკავშირში არ შევედი პროტესტის ნიშნად. დირექტორმა განცხადება დაწერა ჩემს მაგივრად კომკავშირში მიღებაზე და მთხოვა გასაუბრებაზე მივსულიყავი...ვიღაც კაცი დამხვდა – მშობლები ვინ არიანო, „ტროცკისტები“-მეთქი, ვუთხარი. მითხრა: აი, ხედავ, თქვენი მშობლები მოღალატეები არიან, ჩვენ კი მაინც გღებულობთ კომკავშირში“ – იგონებს სიუზანა ჭავჭანიძე (ბექიშვილი 2008, 307).

### მშობლების დაპატიმრება

თითქმის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ არ არსებობდა მათი მშობლების დაპატიმრების წინაპირობა, უბრალოდ ვიღაცამ დამით კარებზე დააკაცუნა და მათთვის ცხადი გახდა, რომ ოჯახის წევრის დასაპატიმრებლად მოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე რესპონდენტისთვის კარზე კაცუნი გვიან დამით გავრცელებული პრაქტიკა იყო, მათთან მისვლის შემდეგაც კი გაუჭირდათ, დაეჯერებინათ, მეორე დღეს ბრალდებული სახლში არ დაბრუნდებოდა. როგორც მაია თოფურიძე აღნიშნავს, მამამისი ელოდა დაპატიმრებას, გამომდინარე იქედან, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტი (შინასაკომი) მისი საქმიანობით გახლდათ დაინტერესებული, თუმცა დაკავების შემდეგაც არ იცოდა ოჯახმა, რა შეიძლება ყოფილიყო რეალური მიზეზი (თოფურიძე, 2014).

როგორც იოსებ ცინცაძე იგონებს, ის 9 წლის იყო როდესაც მამა დააპატიმრეს, ამიტომაც კარგად ახსოვს როგორც მამის დაპატიმრება, ასევე ყველა შესაძლო ინფორმაცია მის

შესახებ: „მამაჩემი ღამით დაპატიმრეს, 1937 წლის 15 მარტს. მეძინა და როცა გავიღვიძე, მთელი სახლი არეული იყო: წიგნები, ჭურჭლები და ტანსაცმელი იატაკზე ეყარა – სახლი გაჩრდიკეს. დედას უთხრეს, რომ მამა მივლინებაში იყო წასული და მალე დაბრუნდებოდა...“ მაშინ სახლის ჩერეკა წარმოადგენდა ერთგვარ მინიშნებას, რომ ბრალდებულის სახლში ყველა შესაძლო სამხილს ეძებდნენ, რომელიც მას ტროცკის სახელთან დააკავშირებდა.

მიხეილ მგალობლიშვილისთვის თანამშრომლების დაკავება აღმოჩნდა ის გარდამტესი მომენტი, როდესაც ეჭვი შეიტანა 1937 წლის რეპრესიების მართებულობაში „...ლადო გეგაჭკორს ვუთხარი: კარგი, ლადო თუ მა ხარ, წამოდი ჩემთან სახლში, ხალხის ტყუილად დაპატიმრება დაუწყიათ და მეც შეიძლება დამაპატიმრონ-მეთქი“ (მგალობლიშვილი 1990, 53).

ადამიანების დაკავების მიზეზი განსხვავებული იყო: ერთ-ერთი რესპონდენტის მოსაზრებით, მამამისი მხოლოდ იმიტომ დაპატიმრეს, რომ ბერიას სადღეგრძელო არ თქვა, მისი მეგობრის მამა კი იმიტომ, რომ ბერიაზე იხუმრა. მაია თოფურიძის მამამ (რომლის სახლი იმდროინდელი ინტელექტუალების შეკრების ადგილს წარმოადგენდა) ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას თქვა, რომ საბჭოთა პოლიტიკური წესრიგი არაფერს ეყრდნობოდა და ის მალე დაიშლებოდა. თითოეული სიტყვა, ხუმრობა თუ კრიტიკა საკმაოდ სწრაფად ვრცელდებოდა და რესპონდენტთა მშობლები დაიჭირეს ანტი-რევოლუციური, ანტი-საბჭოთა ფიქრებისა თუ საუბრისთვის.

ავთანდილ აფხაიძე იხსენებს, რომ მამამისმა სიმღერა დაწერა ბერიაზე: „ბერია, ბერია, როგორ გაგიბერია?“ ვიღაცამ დაასმინა და ამ შეურაცხყოფისა და უპატივცემულობის გამო დაპატიმრეს. როგორც ავთანდილი იხსენებს, ხუთი წლის იყო, როდესაც შავი მანქანები მოვიდნენ ღამით. ის დაკავეს და სანამ სასამართლოს გამართავდნენ, „პერედაჩები“ მიჰქონდა ციხეზე: „სასამართლოს შემდეგ, მან [მამამ] ხელში ამიყვანა და მითხრა: შენ მამას კარგავ. მე ტირილი დავიწყე, მაგრამ რა თქმა უნდა, აზრი აღარ ჰქონდა“ (აფხაიძე 2013).

მამის დაპატიმრება ტრავმული გამოცდილება გახლდათ სიუზანა ჭავჭანიძისთვის, რომელმაც როგორც კი დაინახა სპეციალური ფორმით მოსიარულები, დედას გასძახა „დედა, დედა, ობისკზე მოდიან. ალბათ სტრესი მქონდა...გაგიუდა დედაჩემი, რა „ობისკი“, რის „ობისკი“. ჩემი ბავშვური ტვინით ვიფიქრე, რომ ჩვენთან მოდიან. მართლაც დააკაცუნეს და „ობისკზე“ მოვიდნენ. დედას აცნობეს, რომ მეუღლე დაიჭირეს და სახლი უნდა გაეჩრიკათ. მამას ბევრი წიგნი ჰქონდა, ერთი წიგნიც რომ გადაეშალათ და სადმე ტროცკისტის გვარი ამოეკითხათ, მხოლოდ ამისთვის შეიძლება დაეჭირათ“ (ბექიშვილი 2008, 303).

ლილი ოშაყმაშვილი 5 წლის იყო როდესაც მამა, ალექსანდრე ოშაყმაშვილი დაპატიმრეს. მაშინ ლილის ამის შესახებ არ ეუბნებოდნენ, თუმცა კარგად ახსოვს რომ გრძნობდა, რაღაც ისე არ იყო და მამა მივლინებაში ვერ იქნებოდა ამდენი ხნით წასული (ოშაყმაშვილი 2019).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დაპატიმრებას ხანდახან წინ სდევდა დასმენა. როგორც დავით თურქოშვილი იხსენებს, ქალი, რომელმაც სოფელში ძალიან ბევრი ადამიანი დაასმინა და „კარგი საქციელისთვის“ ლენინის ორდენიც კი მიიღო, დედამისის მოსწავლე გახლდათ. ქალზე საუბრისას რესპონდენტი აღელდა და გაბრაზებულმა წამოიძახა: „ვინც ადამიანებს ასმენდნენ, უნდა დაეპატიმრებინათ და დაეხვრიტათ...“ (თურქოშვილი 2013).

დავით თურქოშვილის ტრავმული მეხსიერება ოჯახის წევრების დაპატიმრებისა და გა-დასახლების შესახებ დაკავშირებულია მეზობლებთან, ინფორმატებთან და სისტემასთან.

მამის დაპატიმრების შემდეგ, აღნიშნული რესპონდენტების დედები მალევე წაიყვანეს, როგორც „ხალხის მტრის ცოლები“ და თანამზრახველები. მშობლების დაპატიმრების შემდეგ შვილები ბებია-ბაბუებთან ან ნათესავებთან ცხოვრობდნენ. დედმამისეული საცხოვრებლიდან ყოველდღიური მოხმარების ნივთებიც კი გაჰქინდათ, რომ აღარაფერი ითქვას სახლის ჩამორთმევაზე. „დედა როგორ წაიყვანეს, არ მახსოვს, მაგრამ სახლიდან რომ ყველაფერი წაიღეს ეს მახსოვს. რასაკვირველია, სახლიც ჩამოგვართვეს. გადმოცემით ვიცი, ვიღაც ქალბატონი შემოსულა და უკითხავს: „აქ კარგი ფარდები ეკიდა და რატომ დაგიმალიათო?“ – იხსენებს გურანდა გიორგობიანი (ბექიშვილი 2008, 149).

სახლის ჩამორთმევა ერთ-ერთი მოვლენა იყო მშობლების დაპატიმრების შემდეგ. როგორც ლადო ბარათაშვილი იგონებს, მათ ოთხოთახიანი ბინა მშობლების დაპატიმრების შემდეგ ჩამოერთვათ: „ დედის და მამის დაჭერის შემდეგ წაგვართვეს და შემოგვისახლეს 2 ოჯახი. ერთ ოთახში დავრჩი“. ლადოს არასრულწლოვანი და კი ჭიათურაში წაიყვანეს, რომ მსგავსი სირთულეები არ გამოეცადა (ბექიშვილი 2008, 79).

1937 წლის 5 ივლისს პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა შემდეგი: 1. მიღებულ იქნეს შინსახკომის წინადადება 5-8 წლით ბანაკებში გამწესების შესახებ სამშობლოს მოღალატეთა, მემარჯვენე-ტროცკისტული, ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაციის წევრთა ყველა ცოლისა, წარმოდგენილი სიის მიხედვით; 2. წინადადება მიეცეს შინსახკომს, მოაწყოს ამისათვის სპეციალური ბანაკები ნარიმის მხარეში და ყაზახეთის ტურგაის რაიონში; 3. სამომავლოდ დადგინდეს წესი, რომლის მიხედვითაც გამოვლენილი სამშობლოს მოღალატეთა, მემარჯვენე-ტროცკისტ ჯაშუშთა ყველა ცოლი დაექვემდებარება ბანაკში გამწესებას არანაკლებ 5-8 წლით; 4. მსჯავრდების შემდეგ დარჩენილი 15 წლამდე ასაკის ყველა ობოლი ბავშვი აყვანილ იქნას სახელმწიფოს კმაყოფაზე, რაც შეეხება 15 წელზე მეტი ასაკის ბავშვებს, მათი საკითხები გადაწყდეს ინდივიდუალურად; 5. შინსახკომის წინადადება მიეცეს, განათავსონ ბავშვებს რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატთა საბავშვო სახლებისა და დახურული ინტერნატების არსებულ ქსელში. როგორც ლილი ოშაყმაშვილი იგონებს, დედის დაპატიმრების შემდეგ მისი ბიძა (დედის ძმა), რევაზ ადამიძე, უვლიდა მის ოჯახს. ის ეხმარებოდა ლილის და თავის დას მიეღოთ განათლება და საჭიროების შემთხვევაში, გაეგზავნათ წერილები ბანაკში დედისთვის (ოშაყმაშვილი 2019).

### საზოგადოების დამოკიდებულება

მამის დაპატიმრების შემდეგ თითოეული რესპონდენტის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. ახლო ნათესავები და ოჯახის მეგობერბიც კი ერიდებოდნენ მათთან ურთიერთობას. როგორც სოსო ცინცაძე იგონებს, ერთხელ სახლში დაბრუნებულმა დედამ პურის რიგში თავისი გამოცდილების შესახებ მოუყვა: ერთ-ერთ ცნობილ მათემატიკოსს, ანდრია რაზმაძეს შეხვედრია, რომელმაც დაინახა თუ არა, თხოვა: „მარო, გთხოვ, არ მობრუნდე, ჩვენ ყველაფერი ვიცით და ძალიან განვიცდით, მაგრამ რა შეგვიძლია, კარგად იცი რაც ხდება ირგვლივ, გამძლეობას გისურვებ!“. ოჯახს კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა ხალხის მტრის ოჯახის წევრობა და მათდამი უნდობლობა და იცოდნენ, რომ თითოეული მათგანი საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობდა მსგავსი საქციელით. როგორც სოსო იხსენებს,

მისი კლასელების უმეტესობას დაუპატიმრეს მშობლები, ამიტომაც მასწავლებლებისა და კლასელებისგან დისკრიმინაცია თითქმის არასდროს უგრძვნია (ცინცაძე 2019).

განსხვავებულია ვლადიმერ ბარათაშვილის ისტორია, რომელმაც უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ საკუთარ თავზე იწვნია კურსელების მხრიდან დისკრიმინაცია: ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ერთ-ერთი საგნის ჩასაბარებლად მივედი და დავით მირიანაშვილს საგამოცდო ფურცელი ვთხოვა, შეწუხებულმა მითხრა, ვერ მოგცემო. მიზეზი შემდეგი აღმოჩნდა, ზოგიერთ კურსანტს განცხადება ჰქონდა შეტანილი, რომ პროფესორები და ლექტორები ხალხის მტრის შვილს პროტექციით ნიშნებს უწერდნენ. მე ბატონ დავით მირიანაშვილ ვუთხარი: „არის ერთი გამოსავალი, გამოცდებს, ეს უსინდისო თანაურსელები დაესწრონ. მართლაც, დაესწრონ... როდესაც დარწმუნდნენ, რომ საგნებს კეთილსინდისიერად ვაბარებდი, დაანებეს თავი ჩემს დასმენას. 1940 წლის 17 ივლისს უკანასკნელი სახელმწიფო გამოცდა ჩავაბარე და დიპლომი მივიღე“ (ბექიშვილი 2008, 80). მისი კურსელების დამოკიდებულება აიხსნება იმ პროპაგანდით, რომელიც ხალხის მტრების შვილებთან დაკავშირებით ვრცელდებოდა საზოგადოებაში: ისინი დამნაშავეები არიან, შესაბამისად, შვილებიც უნდა დაისაჯონ და პროფესიული კარიერის კეთებაში ხელი უნდა შეეშალოთ.

სიუზანა ჭავჭანიძე იხსენებს, რომ მისი კლასელებისთვის ხშირად დაუძახიათ „ტროცკისტის შვილები“, მაგრამ თავად მსგავსი დისკრიმინაცია არ განუცდია, თუმცა ყოველთვის გრძნობდა, რომ არ იყო პრივილეგირებული და იმ სარგებლის მიღება არ შეეძლო, რასაც პარტიის ბილეთის მქონე ოჯახები და მათი შვილები ღებულობდნენ. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ სიუზანა არასდროს დაქორწინებულა სწორედ იმ არგუმენტით, რომ ტროცკისტის შვილი ოჯახში არავის ენდომებოდა (ბექიშვილი 2008, 305). ერთ-ერთი რეპრესირებული ოჯახის შვილი, ნანა ჯიქია იხსენებს, რომ არც მისი და, არც თავად სწორედ იგივე მიზეზის გამო არ დაქორწინდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თავად საკუთარი მშობლების შვილობისა არ რცხვენოდათ, საზოგადოების დამოკიდებულება მუდამ თან ახლდათ მათ ისტორიას (იქვე, 316).

თუმცა ნანა ჯიქიას ისტორია საზოგადოების მხრიდან ისეთი დისკრიმინაციის შემთხვევაა, რომელიც კლასელებისგან და საყვარელი ადამიანებისგან უგრძვნია, ამიტომაც ბევრად უფრო განიცდიდა: „პირველ კლასში სწავლისას მივედი ჩვენს ქუჩაზე მცხოვრებ ამხანაგთან, რომელმაც სახლში არ შემიშვა და მითხრა – „დედამ გამაფრთხილა, ეგ მტრების შვილია და აქ არ მოვიდესო“ (იქვე, 316).

### დედის დაბრუნება

ოჯახის წევრების დაბრუნება ტრავმული გამოცდილება გახლდათ რეპრესირებული ოჯახის წევრებისთვის: მათ არ იცოდნენ, როგორ უნდა მისალმებოდნენ ან შევედროდნენ დედას, რა ეთქვათ და რა დაემალათ და ა.შ. თითოეულ მათგანს ძალიან გაუჭირდა დედასთან შეხვედრა. როგორც ლილი ოშავმაშვილი იხსენებს, დედა თითქმის არასდროს ესაუბრებოდა მას პატიმრობის თაობაზე: „ძალიან რთული იყო ესაუბრა იმაზე, რაოდენ უსამართლო იყო მამის დაპატიმრება. ძალიან რთულია ამაზე ფიქრიც კი“ (ოშავმაშვილი 2019).

დედის დაპატიმრების შემდეგ სიუზანა ჭავჭანიძესაც ხშირად უგრძვნია მისდამი ხალხის სიბრალული „რა საცოდაობაა, რომ მშობლები არ ჰყავს“ ამბობდნენ მასზე და თავად ყოველთვის შეურაცხყოფად იღებდა. 14 წლის იყო როდესაც დედა დაბრუნდა: „დედა რომ

დავინახე, ვერ დავუძახე დედა... დედამ ვერ მიცნო, მე ვიცანი... მაგრამ რაღაცნაირად სი-თამამე არ მქონდა, რომ მივსულიყავი, მოვფერებოდი და ჩავხუტებოდი... თვითონ ჩამე-ხუტა, მაგრამ „დედა“ არ დამიძახია, გაუცხოვებული ვიყავი“ (ბექიშვილი 2008, 318). ამ გაუცხოებისდა მიუხედავად მუდმივად ცდილობდა, ამაყი ყოფილიყო თავისი მშობლებით და თავადაც ისე მოქცეულიყო, რომ მშობლებს მისით ეამაყათ.

სპარტაკ თაქთაქიშვილისთვისაც არ ყოფილა მარტივი დედის დაბრუნება: „დედა რომ ჩამოვიდა და დავინახეთ, შეგრძნების უნარი დავკარგეთ, 14 წლის ვიყავი რომ წაიყვანეს და რომ ჩამოვიდა – 22-ის, 8 წელიწადი არ გვენახა...“ როგორც ვლადიმერ (ლადო) ბარა-თაშვილი იგონებს, როდესაც პირველად დედა დაინახა, დამუჯჯდა და არც კი იცოდა, რა ეთქვა: „დედაჩემის პირველი სიტყვები იყო – „მამაშენის რა იცი?“ ვუპასუხე, – „მამაჩემის გულისათვის უდანაშაულო პატიმრობაში ხარ და კიდევ იმას კითხულობ?“ მან მითხრა – „ოღონდ ის იყოს კარგად და მე სულ პატიმრობაში ვიქნები“ (ბექიშვილი 2008, 162).

ნანა ჯიქიას დედა, თინათინიც, სხვებივით 1937 წელს დაპატიმრეს და როგორც დე-დის წერილებისგან იცის 5 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, შემდეგ აკმოლინსკის ქალთა ბანაკში გადაიყვანეს და ცხვრები ჩააბარეს სამწყემსად. დაბრუნების შემდეგ დედა დიდი ხნის განმავლობაში თბილისში არ ცხოვრობდა, მაგრამ ხშირად ხვდებოდა თავის თანაბა-ნაკელ ქალებს და წარსულის გამოცდილებაზე საუბრობდა. როგორც ნანა ამბობს, დედა კომუნისტი გახლდათ და სიკვდილამდე ჯეროდა, რომ მისი დაპატიმრების გადაწყვეტი-ლება სამართლიანი იყო (ბექიშვილი 2008, 319).

თინათინ ყანდარელის დედა შრომა-გასწორების კოლონიიდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე წელი თბილისში არ ცხოვრობდა, გარდაბანში მუშაობდა პედაგოგიკის ინსტი-ტუტში. თინას დედის ისტორია იმითაც არის საინტერესო, რომ ორჯერ დაბრუნდა, ერთ-ხელ 1943 წელს და მეორედ, 1956 წელს, მშობლების სახელის სრულ რეაბილიტაციამდე. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ ბრძოლებისდა მიუხედავად თინას დედას ძალიან უყვარ-და სტალინი და ხშირად იცავდა მას. დედის გამძლეობა და ძლიერი ბუნება იყო სწორედ ის, რამაც აქამდე მოიყვანა ისე, რომ არავინ დაადანაშაულა ყველა იმ ტანჯვაში, რაც გა-დაიტანა (ბექიშვილი 2008, 241).

რეაბილიტაციის პერიოდის გავლა თითქმის ყველა რეპრესირებულ ქალს მოუწია, ისინი ხშირ შემთხვევაში არ საუბრობდნენ წარსული გამოცდილებაზე ან მაინც კარგად იხსენებდნენ მას, რაღაც პატიმრობისას ფიქრობდნენ, რომ მათი დაჭრით ქმრებს სას-ჯელი შეუმსუბუქდებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ გადასახლებული დედები ხშირ შემთ-ხვევაში დუმილს არჩევდნენ და არ საუბრობდნენ საზარელი ძალადობისა და აუტანელი მოპყრობის თაობაზე, სტალინს აუგად თითქმის არასდროს იხსენიებდნენ, ყოველთვის სჯეროდათ, რომ მათი დაპატიმრება ქვემდგომი ორგანოების თავხედობის ბრალი იყო და არა საბჭოთა არქიტექტორის. „სტალინი კარგია, NKVD და მისი მოხელეები ცუდი“ – ლაიტმოტივად გასდევს რეპრესირებული ოჯახების შვილთა მოგონებებს.

როგორც ლევან გიგინეიშვილი აღნიშნავს, ინტერვიუებს ერთი გამჭოლი ხაზი ახლავს: რესპონდენტების მონათხრობი მათ პროფესიულ საქმიანობაზე, მათი მიღწევებზე, რო-გორც ირიბი და გაუცნობიერებელი მინიშნება, რომ ისინი რეპრესიულმა რეჟიმმა ვერ გა-ტეხა და ცხოვრება მაინც შედგა (გიგინეიშვილი 2008, 76).

ცნობილი ფაქტია ისიც, რომ შრომა-გასწორების კოლონიაში მყოფი პატიმრები წარ-მოადგენდნენ ყველაზე საჭირო მუშახელს მთელ საბჭოთა კავშირში, მათ ევალებოდათ

სხვადასხვა ფიზიკური თუ გონიერივი საქმე, რომელთა შესრულებაშიც ანაზღაურებას მათი „სიცოცხლის შენარჩუნება“ და არდახვრეტა წარმოადგენდა.

### მშობლების სახელის რეაბილიტაცია

თითოეული მათგანის ისტორია სტალინის სიკვდილის შემდეგ მშობლების სახელის რეაბილიტაციასთან ერთად სრულდება. რესპონდენტების უმეტესობამ თითქმის არაფერი იცოდა მამის დახვრეტის შესახებ. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მამებიც გადაასახლეს მიმოწერის უფლების გარეშე: „როდესაც რეაბილიტაციის წერილი მივიღეთ, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩინეთ მისი დახვრეტის თაობაზე“ – ამბობს სიუზანა ჭავჭავაძე (ბექიშვილი 2008, 313). ზოგიერთი რეპრესირებულის დოკუმენტები დაკარგულია ან მათ შვილებს უთხრეს, რომ განადგურდა. როგორც ლილი ოშაყმაშვილი იგონებს, მამამისზე უთხრეს, „უნდა ამაყობდე, მას არასდროს დაუსმენია ვინმე“, ის მხოლოდ იმისთვის აწამეს, რომ ხელი არ მოაწერა თავისი თანამშრომლებისა და მეგობრების სახელებით დაკომპლექტებულ სიას (ოშაყმაშვილი 2019). აღნიშნული ინფორმაცია ლილის დაეხმარა, დარწმუნებულიყო, რომ მამას არასდროს უთანამშრომლია სისტემასთან და მხოლოდ მსხვერპლი იყო.

მშობლების სახელის რეაბილიტაციას დიდად არ შეუცვლია ის დამოკიდებულება, რაც შვილებს მამების მიმართ გააჩნდათ: მიუხედავად იმისა, რომ თითოეულის ისტორია მამის დაპატიმრებით იწყება, თითოეულისთვის მამა ძალიან მოწესრიგებული, სუფთა და კეთილი ადამიანია, მასზე ყოველთვის განსაკუთრებულ ისტორიებს ყვებიან მამის მეგობრები, ნათესავები და ოჯახის სხვა წევრები. ნდობა მამისადმი და ასეთად მისი წარმოჩენა იმ თავსატეხის ნაწილია, რომელიც მოიცავდა ტერორს, შიშის, უნდობლობას, როგორც გადარჩენის რეჟიმის განუყოფელ ნაწილებს.

როგორც თინა იხსენებს, მას მხოლოდ ის მომენტები დაამახსოვრდა, რაც შემდეგ ფოტოებზე უნახავს. მას ახსოვს, რომ მამა სახლში მუშაობდა და ყოველთვის ბედნიერი იყო მასთან საღამოს გატარებით.

### პირადი ცხოვრება სტალინის რუსეთში

მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ნათლად გამოკვეთს რეპრესის ტრავმას. საინტერესოა არამხოლოდ გადმოცემული ინფორმაცია, არამედ ინტერვიუს პროცესში დაფიქსირებული მაღალი შფოთვა თავიანთ პირად გრძნობებსა და მოსაზრებებზე საუბრისას. მათ ხომ საბჭოთა რეპრესიების შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ეშინოდათ აღნიშნულ საკითხებზე საუბრის. საკვლევი თემის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ხშირად კეთდებოდა აქცენტები ჩაწერ საშუალებებზე, აგრესიული იყო რეაგირება ისეთ შეკითხვებზე, რომელიც ეხებოდა პოლიტიკურ დამოკიდებულებებს საბჭოთა პერიოდის მიმართ.

ინტერვიუს ჩანაწერი: 78 წლის ნონა პოპოვა პეტერბურგიდან

- რესპონდენტი: თქვენ რა მართლა იწერთ?
- ინტერვიუერი: დიახ, როგორც გაგაფრთხილეთ საუბრის ჩაწერამდე
- რესპონდენტი: ახლა გასაგებია, ისინი დამაპატიმრებენ...
- ინტერვიუერი: და სად გაგაგზავნიან?

- რესპონდენტი: ალბათ კოლიმაში (ჩრდილო-აღმოსავლეთ ციმბირში)
- ინტერვიუერი: როდის?
- რესპონდენტი: ალბათ დღესვე... ღამით ვერ დავიძინებ..." (Figes, 2008, 23).

როგორც ფაიგსი აღნიშნავს, შვილებმა ძირითად შემთხვევაში არ იცოდნენ მამის დაპატიმრების მიზეზი და მხოლოდ დედის მიერ მოყოლილ ამბებს ეყრდნობოდნენ. ერთ-ერთ რესპონდენტს, ელენა მარტინელს, თავად ხშირად უფიქრია მამის დამნაშავეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ დედისგან მამის შესახებ ბევრი კარგი რამ ესმოდა. როგორც თვითონ უამბო ინტერვიუერს, როდესაც მამის ერთ-ერთმა მეგობარმა ფოტო მოუტანა, მან ეს ფოტო დახია. ეს დავიწყების ერთგვარი სტრატეგია იყო. დავიწყების სტრატეგიას წარმოადგენს სხვებისთვის მამის შესახებ ინფორმაციის არგამხელა, საოჯახო არქივის დამალვა და მამის შესახებ საუბრისას ყოველთვის სხვა თემაზე გადასვლის მცდელობა, რომელსაც რესპონდენტები საკმაოდ ხშირად იყენებდნენ (იქვე, 8).

აღსანიშნავია რეპრესირებულთა ოჯახის შვილების დამოკიდებულებაც სტალინისადმი. ისინი, ვინც მამებს ადანაშაულებდნენ და ფიქრობდნენ, რომ შესაძლოა, მათი ენა იყო მათივე პრობლემების დასაბამი, სტალინის პერიოდ „ნორმალური ცხოვრებისთვის საჭირო ყველა შესაძლებლობით სავსედ“ მოიხსენიებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ადარებენ დღევანდელობას და სტალინის პერიოდს და ხაზს უსვამენ იმას, რომ სტალინური რეპრესიები მავნებლობისა და კრიმინალის აღკვეთის საუკეთესო საშუალება იყო „.... ხალხი ქუჩაში კი არ კლავდა ერთმანეთს! საღამოს გარეთ გასვლა უფრო უსაფრთხო იყო“ – იხსენებს ირაიდა ფაივისოვიჩი (Figes 2008, 18).

ისტორიკოსი მერიემ მაკკოლი (McAuley 1992, 56-57), რომელიც თავად ატარებდა ინტერვიუებს, საუბრობს რა რესპონდენტების დამოკიდებულებებზე სენსიტიური საკითხების მიმართ, აღნიშნავს: კითხვაზე „შეგიძლიათ მითხრათ 1937 წელს დაპატიმრებულ რამდენ ადამიანს იცნობთ?“ – პასუხი დაუყოვნებლივ იყო შემდეგი: „სოლუსიური არ წაგიკითხავთ? არ იცით რამდენი დააპატიმრეს?“, თუ კითხვას შეუბრუნებდით და ეტყოდით „თქვენი ოჯახიდან რამდენი დააპატიმრეს“, რამდენიმეწუთიანი პაუზის შემდეგ გიპასუხებდნენ – „ჩემი ოჯახიდან არავინ, დანარჩენი ალბათ ყველა“ და ბოლოს მცირეოდენი ჩაკითხვების შემდეგ შეიძლება რამდენიმე ადამიანი გახსენებოდათ.

როგორც ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, ზეპირი ისტორიები რეპრესირებულთა ოჯახის წევრების მეხსიერების შესახებ გაცილებით მეტ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე პირადი მიმოწერა, დღიურები თუ მემუარები, რადგან ეს უკანასკნელნი მაინც სუბიექტურ, იდეოლოგიზრებულ და ემოციურ რეალობას ასახავენ.

ინტერვიუების ანალიზი ხაზს უსვამს ფაქტს, რომ 1936-38 წლების რეპრესიები წარმოადგენდა კულტურულ ტრავმას, ხოლო თავად მემუარები ტრავმული ნარატივის ნიმუშს. ჯეფრი ალექსანდერი ნაშრომში „სოციალური ცხოვრების მნიშვნელობანი: კულტურული სოციოლოგია“ კულტურული ტრავმის შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობს: კულტურული ტრავმა ჩნდება მაშინ, როცა ჯგუფის წევრები თვლიან, რომ მათ განიცადეს საშინელი მოვლენის ზეგავლენა, რაც სამუდამოდ აღიბეჭდა მათ მეხსიერებაში და საფუძვლიანად შეცვალა მათი სამომავლო იდენტობა (Alexander 2003, 11).

ინტერვიუებში მოცემული ინფორმაცია ნათლად წარმოაჩენს იმას, რომ „სამშობლოს მტრობა“ თუ „სამშობლოს მტრის შვილობა“ ერთგვარი დაღი აღმოჩნდა, რომელმაც მათი

შემდგომი ცხოვრება და დამოკიდებულებები განსაზღვრა. იმისთვის, რომ მოვლენის მასშტაბი აგვეხსნა, მხოლოდ ერთი ინტერვიუს ანალიზის ან მოვონების წაკითხვა იქნებოდა საკმარისი. მშობლების დუმილი, რეპრესირებულთა მემუარებში აღნიშნული „ხმაური“ თუ რეპრესირებულთა ოჯახის შვილების „მაღალი შფოთვა“ ერთნაირად წარმოაჩენს რეპრესიების კოლექტიურ ხასიათს.

ზეპირი ისტორიები შესაძლოა ჩაითვალოს ტრავმულ ნარატივად, რადგან მათში გამოკვეთილია კონკრეტული მოვლენა და მისი მასშტაბური ხასიათი, დაზარალებული და დამნაშავე მხარეები. მემუარებში აშკარაა საბჭოთა კავშირის, როგორც მექანიზმის და სტალინის, როგორც არქიტექტორის მტრად გამოყვანის მცდელობა, რადგან რეპრესირებულებს მათ გვერდით მყოფი პატიმრებისგან განსხვავებით კარგად ესმით ის ფაქტი, რომ რეპრესიები ძირითადად უდანაშაულო ადამიანებს შეეხო, კარგად გათვლილი და დაგეგმილი იყო საბჭოთა არქიტექტორების მიერ და ქვემდგომი ორგანოები მხოლოდ ცენტრალური ორგანოების მითითებებს ასრულებდნენ.

ზეპირ ინტერვიუებში აღნიშნულმა ფაქტებმა ნათლად წარმოაჩინა რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი: პირველი, სტალინური ტერორის ლოგიკა, მეორე და ასევე მნიშვნელოვანი, დაპატიმრების, საკანსა და დაკითხვის დროს სასტიკი მოპყრობის, შრომა-გასწორების კოლონიაში არსებული მდგომარეობის ხასიათი და ბოლოს, პატიმართა თუ რეპრესირებულთა დამოკიდებულებები სისტემის მიმართ. სამივე ასპექტს რეპრესირებულთა ოჯახები თუ რეპრესირებულები თითქმის ერთნაირად აღწერენ, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებაში სტალინური ტერორის სრულად გააზრება და ტრავმის დაძლევა ჯერ არ მომხდარა.

## დასკვნა

აღნიშნული სტატიის მიზანი გახლდათ სტალინური რეპრეზენტაცია რეპრესირებულთა შვილების ისტორიებში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტრავმის ბუნება აღნიშნული ნებატიური მოვლენის მიმართ ისეთ სიტყვების ხშირად ხსენებაში გამოიხატება, როგორიცაა „განადგურება“, „დაკავება“, „მშობლიური სახლის ჩამორთმევა“, „გადასახლება“ და „რეაბილიტაცია“. ამიტომაც, საბჭოთა კავშირში „ხალხის მტრის“ შვილად ცხოვრება მუდმივი სტრესი გახლდათ რეპრესირებულებისათვის, რადგან მათ მუდმივად უწევდათ სხვა ადამიანებისგან მუდმივი უარყოფითი და ეჭვნარევი დამოკიდებულების ქვეშ ცხოვრება.

სტალინური ტერორის მსხვერპლთა დასახელება რთულია, ყველა შეიძლება ყოფილიყო მსხვერპლი, განურჩევლად სქესისა, სოციალური მიკუთვნებულობისა, ასაკისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა და პილიტიკური მრწამსისა. ზეპირი ინტერვიუების რესპონდენტთა მამები სიკვდილით დასაჯეს, დედები კი გულაგში გადაასახლეს მხოლოდ იმიტომ, რომ კონკრეტულ ჯგუფს (ამ შემთხვევაში, ინტელიგენციას) მიეკუთვნებოდნენ.

ტრავმის კონცეპტის განზოგადებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს შემდეგ ასპექტებს: პირველი, კონკრეტული ჯგუფის წევრობა და რთული გამოცდილების ქონა ნამდვილად წარმოადგენს ტრავმას, თუმცა აღნიშნული ისტორიული მონაკვეთის უგულებელყოფა ან საბჭოთა რეპრესიების საჭირო პოლიტიკურ აქტად გააზრება

კიდევ ერთხელ გვაფიქრებს იმაზე, რომ საზოგადოებას აღნიშნული საკითხი სრულად არ აქვს გაზიარებული და გააზრებული. პასუხისმგებლობის გადატანა გარკვეულ ჯგუფსა და ინდივიდებსა თუ ინსტიტუტებზე სხვადასხვანაირად იყო აღქმული რესპონდენტების მიერ. ვინმეს დადანაშაულება ლაიტმორტივად გასდევდა ისტორიებს, თუმცა მათ მაინც უჭირდათ, როგორც საბჭოთა არქიტექტორების, მათ შორის, სტალინის გამოკვეთილად მხილება.

აღნიშნულმა ტერორმა კულტურული ტრავმის გენერირება ნამდვილად შეძლო იმიტომ, რომ მან როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ აზროვნებაზე მოახდინა გავლენა. უფრო მეტიც, ტრავმამ გავლენა მოახდინა არამხოლოდ რეპრესირებულთა რეფლექსიაზე, როგორც კონკრეტული გუნდის წევრებზე, ასევე საზოგადოების სხვა წევრებიც დატოვა ისეთი კითხვების წინაშე, როგორიცაა: ვინ არიან ისინი? საიდან მოვიდნენ ან სად მიდიან? აქედან გამომდინარე „ტრავმა არ არის მტკივნეული გამოცდილების შედევი, ის კოლექტიურ აზროვნებაშია გაბნეული“ (Alexander, 2003, 22).

სტალინური ტერორისთვის კულტურული ტრავმის კლასიფიკაციის მინიჭების საფუძველს იძლევა ჯეფრი ალექსანდერის კულტურული/კოლექტიური ტრავმის ჩარჩო, რომელშიც არსებობს კონკრეტული მოვლენა, რომლის მიმართაც არსებობს განსხვავებული ნარატივები, არსებობენ მჩაგრულები და ჩაგრულები და არსებობს საზოგადოება, რომელიც საბოლოოდ ვერ თანხმდება რეპრესიების, როგორც გამართლებული პოლიტიკური აქტისა თუ სისასტიკის ბუნებაზე, თუმცა დღემდე თითქოს ფრთიან ფრაზად შემორჩენილი „კედლებსაც ყურები აქვთ“, „უცხოს კარები არ გაუღო“ და ა.შ. პირველ რიგში, სტალინური „კარზე კაკუნის შიშის“ გადმონაშთს წარმოადგენს.

## გამოყენებული ლიტერატურა

ბექიშვილი, ნინო, რედ. „ალექსის“ პატიმართა პორტრეტები – სტალინიზმის ისტორიიდან.

თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, 2008.

გიგინეიშვილი, ლევანი. 2008. ერთი ეპიზოდი 1936-38 წლების სტალინური რეპრესიებიდან, „ალექსის“ პატიმართა პორტრეტები – სტალინიზმის ისტორიიდან, 26-76. თბილისი, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი.

მგალობლიშვილი, მიხეილ. 1990. 1937 : რეპრესირებულის მოგონებები, რედ. ნ. შატაიძე. თბილისი: მერანი.

ყენია, ილია. 1990. შიშის აჩრდილქვეშ 1937 : მოგონებები, რედ. სანადირაძე, მანანა. თბილისი: მერანი.

Alexander, Jeffrey, *The Meanings of Social Life: A Cultural Sociology*. Oxford University Press, 2003.

Applebaum, Anne, *Gulag: A History*. Great Britain: A Penguin Press, Print, 2003.

Avalishvili L. (2010) The „Great Terror“ of 1937-1938 in Georgia: Between the Two Reports of Lavrentiy Beria. *Caucasus Analytical Digest*, No. 22 (December), pp 2-6

Barry, Peter, *Beginning Theory: An Introduction to Literary and Cultural Theory*. Manchester: Manchester University Press, 2002.

Conquest, Robert, *Inside Stalin's Secret Police*. Starndford: Strandford University Press, 1985.

Conquest, Robert, *The Great Terror: A Reassessment*. Oxford: Oxford University Press, 2008.

Davies, Sarah. „Us against Them“: Social Identity in Soviet Russia, 1934-1941.“ *The Russian Review*

- 56, no. 1 (1997), pp. 70-89
- Fitzpatrick, Sheila, *Tear off Masks! Identity and Imposture in Twentieth-Century Russia*. Princeton: Princeton University Press, 2005.
- Flewers P. (2011) Stalin and the Great Terror: Politics and Personality in Soviet History. *Journal of Socialist Theory Volume 39*, Issue 2, pp. 271-293
- Getty J. Arch and Manning T. Manning, ed. (2003) *Stalinist Terror: New Perspectives*. Cambridge: Cambridge University Press, 2003.
- Ginzburg, Eugenia. 1967. *Journey into the Whirlwind*. Trans. Paul Stevenson and Max Hayward. New York: Harcourt and Brace
- Getty, Arch J., and Oleg V. Naumov, *The Road to Terror: Stalin and the Self-Destruction of the Bolsheviks, 1932-1939*. New Haven and London: Yale University Press, 1999.
- Hosfod, David, Kachuria, Pamela and Lamont, Thomas, *Gulag: Soviet Prison Camps and Their Legacy*. National Park Center, Unites States: Davis Center for Russian and Eurasian Studies, 2006.
- Hellbeck, Jochen, *Revolution on My Mind: Writing a Diary Under Stalin*. Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 2006.
- Khlevniuk, Oleg, *The History of the GULAG from Collectivization to the Great Terror*. New Haven: Yale University Press, 2004.
- Kotkin, Stephen. „Speaking Bolshevik.“ In Magnetic Mountain: Stalinism as a Civilization, 198–237. University of California Press, n.d.
- Marsh, Rosalind, *Images of Dictatorship – Portraits of Stalin in Literature*. London and New York: Routledge, 1989.
- McAuley, Mary, *Soviet Politics 1917–1991*. Oxford: Oxford University Press, 1992.
- Reisner, Oliver. 2009. Interpreting the Past – From Political Manipulation to Critical Analysis? *Caucasus Analytical Digest* (08/09), pp. 2-5
- Rigby, Thomas Harris, *The Stalin Dictatorship: Khrushchev's „secret Speech“ and Other Documents*. Sydney: Sydney University Press, 1968.
- Roussou, Henry, ed. *Stalinism and Nazism: History and Memory Compared*. Lincoln and London: University of Nebraska Press, 2004.
- Smelser, Neil J. 2004. Psychological Trauma and Cultural Trauma. In *Cultural Trauma and Collective Identity*, 31–59. California: University of California Press.
- Suny, G. Ronald, *Transcaucasia: nationalism and social change: essays in the history of Armenia, Azerbaijan, and Georgia*. Kennan Institute for Advanced Russian Studies, and American Association for the Advancement of Slavic Studies. Ann Arbor: University of Michigan, 1983.
- Sztompka, Piotr, *Trust: A Sociological Theory*. Cambridge: Cambridge University Press, 1999.
- Sztompka, Piotr. „The Trauma of Social Change: A Case of Postcommunist Societies.“ In *Cultural Trauma and Collective Identity*, Berkeley, California: University of California Press, 2004, pp. 155–95
- Wertsch, James. 2012. Texts of Memory and Texts of History. *L2 Journal, Volume 4*: 9-20.
- Waal, Thomas, *Stalin's Puzzle*. Tbilisi: Carnegie Endowment for International Peace, 2013.
- Werth Nicolas, The NKVD Mass Secret Operation n°00447 (August 1937 – November 1938) , Mass Violence & Résistance, [online], published on: 24 May, 2010, <http://bo-k2s.sciences-po.fr/mass-violence-war-massacre-resistance/en/document/nkvd-mass-secret-operation-n-00447-august-1937-november-1938>, ISSN 1961-9898 (28.12.2020).

სტალინური ტერორის (1936-1938) მეხსიერება რეპრესირებული ოჯახების ...

საჯარო არქივი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, მაია თოფურიძის ზეპირი  
ისტორია, 14.06.2014/ ინტერვიუერი: ირაკლი ხვადაგიანი

საჯარო არქივი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, ავთანდილ აფხაძის ზე-  
პირი ისტორია, წყალტუბო, 11.03.2013/ ინტერვიუერები: ირაკლი ხვადაგიანი, დავით  
ხვადაგიანი;

საჯარო არქივი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, დავით თურქოშვილის ზე-  
პირი ისტორია, 17.01.2013/ ირაკლი ხვადაგინაი, რეზო ორბეთაშვილი;

იოსებ ცინცაძის ზეპირი ისტორია, 19.04.2019/ ინტერვიუერი: ივეტა გოგავა  
ლილი ოშაკაშვილის ზეპირი ისტორია, 18.04.2019/ ინტერვიუერი: ივეტა გოგავა

## ბეჭდური მედია

კომუნისტი, 4 დეკემბერი, 1934, სამშაბათი № 279 (4135)

პრავდის მოწინავე, 21 იანვარი, 1937, № 21/1

პრავდის მოწინავე, 26 იანვარი, 1937, № 26/1

კომუნისტი, 30 იანვარი, 1937, შაბათი, № 24 (4826)

კომუნისტი, 2 თებერვალი, სამშაბათი, № 26 (4828)

კომუნისტი, 4 აგვისტო, 1937, ოთხშაბათი, № 177 (4978)

პრავდის მოწინავე, 6 აგვისტო, 1937, № 4/8

კომუნისტი, 10 მარტი, 1937, ოთხშაბათი, № 56 (5271)

კომუნისტი, 29 აგვისტო, 1937, კვირა, № 198 (4999)

კომუნისტი, 5 სექტემბერი, 1938 ორშაბათი, № 204 (5305)